პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 7 მაისი, 1944 წ. № 93 (7037). ფასი 20. კაპ.

90-91-92

ახალ სესხზე ხელმოწერა საქართველოში წარმატებით გრძელდება. 6 მაისს ღამის 10 საათისათვის რესპუბლიკაში ხელმოწერამ შეადგინა 642.508.000 მანეთი.

სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით ჩვენი ხალხი ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა სამშობლოს ძალასა და სიმტკიცეს, საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი.

ჩაის ფაბრიკებმა სანიმუშოდ უნდა იმუშაონ

ძლევამოსილი წითელი არმია, როშელიც აბორიგენელებს გენიალურ სტალინურ სტრატეგიულ გეგმას, გამანადგურებელ დარტყმებს აყენებს მტერს და საბჭოთა მიწა-წყალს სწმენდს ჰიტლერული სიბილწისაგან. წითელი არმიის ეს გამარჯვებები საბჭოთა ზურგის წარმატებით მუშაობას ემყარება. ამხანაგმა სტალინმა თავის საპირველმაისო ბრძანებაში მაღალი შეფასება მისცა ზურგში საბჭოთა ადამიანების მუშაობას.

„საშამულო ომმა,—ამბობს ამხანაგი სტალინი,—ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხალხს უნარი შესწევს სასწაულები მოახდინოს და გამარჯვებული გამოვიდეს უაღრესად მძიმე განსაცდელიდან. მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი აღსავსეა გადაწყვეტილებით — დაიჩქაროს მტრის განადგურება, მთლიანად აღადგინოს ფაშისტების მიერ დანგრეული მეურნეობა, გახადოს ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და შეძლებული“.

დიდი სტალინის ბრძანებამ მშრომელები აღაფრთოვანა ახალი საგმირო საქმეებისათვის. საბჭოთა ადამიანების ღრმა პატრიოტული გრძნობების ახალი მძლავრი დადასტურებაა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის უმაგალითო წარმატება.

მშრომელთა ახალი მძლავრი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობა სამეურნეო წარმატებათა საფუძველია. ამჟამად ფრიად სერიოზული ამოცანები დგას კვების მრეწველობის მუშაკთა წინაშე. ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება მეტი პროდუქტები, მათ შორის მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქცია.

საქართველოს მთელ რიგ სუბტროპიკულ რაიონებში დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის შერჩევითი კრეფა, კიდევ რამდენიმე დღე და კრეფა მასობრივად გაჩაღდება. ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელნი მოვალენი არიან უზრუნველჰყონ ჩაის ფოთლის შეუფერხებელი გადამუშავება. ჩაის ფოთლის მოკრეფა და გადამუშავება სეზონური საქმეა. დროზე მოჭკრეფ და გადაამუშავებ ფოთოლს—მოიგებ, დაკაგვიანებ—წააგებ. იქ, სადაც ეს ვითავალისწინეს და სერიოზული ყურადღება მიაქციეს ჩაის ფაბრიკების მომზადებას ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონისათვის, სადაც მოხერხებულად გამოიყენეს შინარესურსები, ჩინებულ შედეგებს მიაღწიეს. ორპირის, მაღლაკის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ხუცუბნის, დიდიჭყონის ჩაის ფაბრიკებმა დროულად დაამთავრეს რემონტი და მომზადებული შეხვდნენ სეზონს.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. ჩაის ფაბრიკების რემონტი დამთავრებული უნდა ყოფილიყო პირველი აპრილისათვის. ზოგან კი ეს სამუშაო დღემდე არაა დამთავრებული. ჩაის ფოთლის გადამუშავებისათვის მზად არ არიან, მაგალითად, მაღალი ეწრის, ჩაქვის, ბობოყვათის, ლაითურის, ნარაზენის, ქობულეთის ჩაის ფაბრიკები. მთელ რიგ ფაბრიკებში ჯერ დამთავრებული არ არის მანქანა-დანადგართა შეკეთება, არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები მუშახელით ფაბრიკების უზრუნველსაყოფად, სრულ წესრიგში არ მოუყვანიათ საწარმოო ინვენტარი, საწვავ-საცხები მასალა არ მიუზიდავთ დანიშნულების ადგილზე. ეს საფრთხეს უქმნის ჩაის მწვანე ფოთლის დროულად გადამუშავებას.

ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ხელმძღვანელმა მუშაკებმა აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ. მათი მოვალეობაა მიიღონ ყველა ზომები, რათა უახლოეს ხანში ჩაის ყველა ფაბრიკა იყოს მზად ფოთლის გადამუშავებისათვის.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ ჩაის ფაბრიკებს. მაშინ ნაკლოვანებებიც აღარ იქნება ჩაის ფაბრიკების მუშაობაში.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქვეყანას მივცეთ ჩაის მაღალხარისხოვანი პროდუქცია? ამისათვის საჭიროა მთელი მანქანა-დანადგარების მაღალნაყოფიერი მუშაობა, საჭირო, საოლერო, სახმობ და დამხარისხებელ საამქროებში სანიმუშო სისუფთავისა და ტექნოლოგიური პროცესების მტკიცედ დაცვა. საჭიროა ჩაის მწვანე ფოთლის წესიერი დახარისხება და მისი გადამუშავება ცალ-ცალკე ხარისხების მიხედვით. ჩაის მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მიმღები პუნქტებიდან ფოთლის დროულად გადაზიდვას ფაბრიკებში. საჭიროა აგრეთვე მოეწყოს ჩაის ფაბრიკების მიმღებ პუნქტებში შემოსული ფოთლის ზუსტი აღრიცხვა.

კარგი მუშაობა ჩაის დარგში იმას ნიშნავს, რომ კრეფის გეგმასთან ერთად, ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდება ხარისხის მტკიცედ დაცვით. ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვება დანაშაულია სამშობლოსა და ფრონტის წინაშე. ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, სპეციალისტებმა და მთელმა კოლექტივმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან წუნი მუშაობაში.

ჩაის ფაბრიკებში ბევრი მოგვეპოვება მოწინავე მუშა, სპეციალისტი. ახლა ამოცანა ის არის, რომ მოწინავეთა მდიდარი გამოცდილება ფართოდ გავავრცელოთ. ჩაის ფაბრიკების მუშაკები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი. მათ იკისრეს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება. ამ ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლა ამთავითვე იწყება.

უზრუნველყოთ ჩაის ფაბრიკების სანიმუშო მუშაობა, მივცეთ სამშობლოს ჩაის პროდუქცია საჭირო რაოდენობით,—ეს იქნება საქმით პასუხი ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებაზე.

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ სტალინს

მოგახსენებთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 20 სამშენებლო ტრესტის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა და № 268 ქარხნის კოლექტივმა, რომლებიც ასრულებდნენ პარტიისა და მთავრობის დავალებას, დაამთავრეს მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადასცეს ურალის № 268 მეტალურგიული ქარხნის პირველი რიგი ალუმინის შენადნობიდან ნაგლინისა და ნატვიფრის საწარმოებლად, რაც საჭიროა თვითმფრინავებისა და საავიაციო მოტორების უზრუნველსაყოფად.

ქარხანა შეუდგა მზა პროდუქციის გამოშვებას.

№ 268 ქარხანაში აგებულია 80 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობები. დამთავრებულია სამსმელო, საპროფილო-საწნები, სამჭედლო-საწნეხი (პირველი რიგის) და საგლინავი საამქროების მშენებლობა. სამსმელო საამქროში აგებულია, აწყობილია და საექსპლოატაციოდ გადაეცა დიდი ელექტროსადნობი ღუმელები ალუმინის შენადნობთა სადნობად. საპროფილო-საწნეხ და სამჭედლო-საწნეხ საამქროებში აწყობილია და საექსპლოატაციოდ გადაეცა მძლავრი ჰიდრავლიკური წნეხები — სატუმბო-აკუმულატორულ დანადგარებთან, სათბობ და თერმულ ღუმელებთან და დამხმარე მექანიზმებთან ერთად.

თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით სახელოვანი გმირი წითელი არმია ულმობლად ანადგურებს საზიზღარ დამპყრობლებს, რომლებმაც ხელი აღმართეს ჩვენი საყვარელი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. წითელი არმიის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ ქარხნის მშენებლებსა და კოლექტივს. პირობას გაძლევთ მთელი ძალ-ღონე და ცოდნა ვიხმაროთ, რათა კიდევ უფრო გავადიდოთ ქარხნის საწარმოო სიმძლავრე და უზრუნველვყოთ თვითმფრინავებისა და საავიაციო მოტორების საწარმოებლად საჭირო ნაკეთობათა გამოშვება.

გისურვებთ თქვენ, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობასა და მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი დიადი სამშობლოს საბედნიეროდ და ასაყვავებლად.

№ 20 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის უფროსი **გერასიმოვი**
№ 268 ქარხნის დირექტორი **მალენკოკი**
ტრესტის მთავარი ინჟინერი **მარკინი**
ქარხნის მთავარი ინჟინერი **ბარბანელი**
ტრესტის პარტბიუროს მდივანი **ქემჩუქნიკოვი**
ქარხნის პარტბიუროს მდივანი **ფედოროვი**

საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 268 ქარხანა

ამხანაგებს გერასიმოვს, მალენკოს, მარკინს, ბარბანელს, ქემჩუქნიკოვს, ფედოროვს

ვულოცავ საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 268 ქარხნის მშენებლებს, მემონტაჟეებს, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს ქარხნის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებას და საექსპლოატაციოდ გადაცემას.

თქვენი დაძაბული მუშაობით თქვენ შეჰქმენით საწარმოო ბაზა ალუმინის ნაგლინისა და ნატვიფრის გამოსაშვებად, რაც საჭიროა საბრძოლო თვითმფრინავების გამოშვების გასადიდებლად.

გისურვებთ შემდგომს წარმატებებს თქვენს მუშაობაში იმ საწარმოო სიმძლავრეთა ასათვისებლად, რომელთა მშენებლობაც დამთავრებულია, და ქარხნის მეორე რიგის მშენებლობის დასამთავრებლად.

ი. სტალინი

უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანება.

ბროშურა გამოცემულია 5 მილიონ ცალად (საკვესი).

სამშობლოსადმი სიყვარულის მძლავრი დემონსტრაცია

ახალი სესხის გავრცელება საქართველოში

საქართველოში სესხი გავრცელებულია 642.508.000 მანეთის რაოდენობით

საქართველოს სს რესპუბლიკაში 6 მაისს ღამის 10 საათისათვის მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 642.508.000 მანეთს, რაც გასავრცელებლად ნავარაუდევი საერთო თანხის 117,9 პროცენტს უდრის. შარშან შესაბამისი დროის განმავლობაში რესპუბლიკაში სესხი გავრცელებული იყო 394.383 ათასი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სოფლის მოსახლეობაში სესხი გავრცელებულია 326.489.000 მანეთის რაოდენობით, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის — 238.737.000 მანეთისა და კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს შორის — 77.292.000 მანეთის რაოდენობით.

სესხის სარეალიზაციოდ შემოსული ნაღდი თანხა უდრის 309.735.000 მანეთს. აქედან სოფლად შემოსულია 274.719.000 მანეთი. სარეწაო არტელებმა და კოლმეურნეობებმა სესხის ობლიგაციების გამოსასყიდად შეიტანეს 35.016.000 მანეთი.

სესხზე ხელმოწერა თბილისში

6 მაისს ღამის 10 საათისათვის

გუშინ 6 მაისს ღამის 10 საათისათვის თბილისში მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი გავრცელებული იყო 101.322.000 მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 108,9 პროცენტით.

სესხის გავრცელებაში ქალაქის რაიონებიდან ყველაზე წინ მიდის ორჯონიკიძის რაიონი: ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 130 პროცენტით და სესხი გავრცელებულია 11.574.000 მანეთის რაოდენობით.

მეორე ადგილი უჭირავს კიროვის რაიონს: ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 124 პროცენტით და სესხი გავრცელებულია 8.822.000 მანეთის რაოდენობით. შემდეგი ადგილი უკავია ბერიას რაიონს. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 116,4 პროცენტით და სესხი გავრცელებულია 22.234.000 მანეთის რაოდენობით.

სტალინის რაიონში ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 113,3 პროცენტით და სესხი გავრცელებულია 19.488.000 მანეთის რაოდენობით. მოლოტოვის რაიონში ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 112,9 პროცენტით და სესხი გავრცელებულია 7.455.000 მანეთის რაოდენობით. ლენინის რაიონში ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა შესრულებულია 105.7 პროცენტით და სესხი გავრცელებულია 14.485.000 მანეთის რაოდენობით.

ქალაქის რაიონებს შორის ბოლოს მიდის 26 კომისრის რაიონი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 6 მაისს ღამის 10 საათისათვის ახალ სესხზე ხელმოწერის საერთო თანხამ 51.391.000 მანეთს მიაღწია, რაც გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხის 120 პროცენტს უდრის.

ამ თანხიდან აფხაზეთის სოფლის მოსახლეობაში სესხი გავრცელებულია 25.451.000 მანეთისა, ხოლო მუშებსა და მოსამსახურეებს შორის 20.295.000 მანეთის რაოდენობით.

სოფლად გავრცელებული თანხა ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხას 39,8 პროცენტით აჭარბებს.

აჭარის ასს რესპუბლიკა

აჭარის ასს რესპუბლიკაში ახალ სესხზე ხელმოწერის საერთო თანხამ 34.690.000 მანეთს გადააჭარბა. ეს უდრის გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხის 113,3 პროცენტს. სესხი გავრცელებულია სოფლად 13.921.000 მანეთისა, ხოლო მუშებსა და მოსამსახურეებს შორის 17.838.000 მანეთის რაოდენობით.

სოფლად გავრცელებული თანხა ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხას აჭარბებს 26,6 პროცენტით.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ახალი სესხი გავრცელებულია 20.843.000 მანეთის რაოდენობით, რაც გასავრცელებლად გათვალისწინებული თანხის 122 პროცენტს უდრის. სოფლის მოსახლეობაში სესხი გავრცელებულია 13.719.000 მანეთისა, ხოლო მუშებსა და მოსამსახურეებს შორის 370.000 მანეთის რაოდენობით.

სოფლად გავრცელებული თანხა ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხას აჭარბებს 24,7 პროცენტით.

რესპუბლიკის მოწინავე რაიონები

გუშინ ღამის 10 საათისათვის შეჯამებული ცნობების მიხედვით მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გავრცელებაში სოფლად მოწინავე ადგილებზე არიან:

თიანეთის რაიონი. გავრცელებულია 5.257.000 მანეთის სესხი. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა აქ შესრულებულია 262 პროცენტით.

დუშეთის რაიონი. სესხი გავრცელებულია 5.143.000 მანეთის რაოდენობით, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 197,8 პროცენტს უდრის.

გურჯაანის რაიონი. სესხი გავრცელებულია 19.138.000 მანეთის რაოდენობით, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 191,4 პროცენტს შეადგენს.

ახალციხის რაიონი. სესხის გავრცელების თანხამ 8.129.000 მანეთს გადააჭარბა. ეს ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 180,6 პროცენტს უდრის.

ზესტაფონის რაიონი. სესხი გავრცელებულია 9.021.000 მანეთის რაოდენობით, რაც გათვალისწინებული თანხის 164 პროცენტს უდრის.

ახპინძის რაიონი. სესხი გავრცელებულია 3.695.000 მანეთის რაოდენობით, რაც გათვალისწინებული თანხის 175,9 პროცენტს უდრის.

კახეთის რაიონი. სესხი გავრცელებულია 7.240.000 მანეთის რაოდენობით, რაც გათვალისწინებული თანხის 160,9 პროცენტს შეადგენს.

ჭიათურის რაიონი. სესხი გავრცელებულია 4.465.000 მანეთის რაოდენობით, რაც გათვალისწინებული თანხის 150 პროცენტს უდრის.

ბაშკიჩეთის რაიონი. სესხი გავრცელებულია 3.933.000 მანეთის რაოდენობით, რაც გათვალისწინებული თანხის 157,3 პროცენტს უდრის.

ონის რაიონი. სესხი გავრცელებულია 2.602.000 მანეთის რაოდენობით, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 144,6 პროცენტს უდრის.

ჭუთაისის რაიონი. სესხი გავრცელებულია 5.779.000 მანეთის რაოდენობით, რაც გათვალისწინებული თანხის 144,5 პროცენტს უდრის.

ორჯონიკიძის (ხარაგოული) რაიონი. სესხი გავრცელებულია 4.302.000 მანეთის რაოდენობით, რაც გათვალისწინებული თანხის 138.8 პროცენტს შეადგენს.

თელავის რაიონი. სესხი გავრცელებულია 9.952.000 მანეთის რაოდენობით ანუ ნავარაუდევი თანხის 142,2 პროცენტი.

წყალტუბოს რაიონი. სესხი გავრცელებულია 4.060.000 მანეთის რაოდენობით ანუ ნავარაუდევი თანხის 135,3 პროცენტი.

ცაგერის რაიონი. სესხი გავრცელებულია 2.975.000 მანეთის რაოდენობით, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 133,2 პროცენტს შეადგენს.

ყარაიას რაიონი. სესხი გავრცელებულია 2.600.000 მანეთის რაოდენობით ანუ ნავარაუდევი თანხის 130 პროცენტი.

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის უდიდესი წარმატება

მთელ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს ხელმოწერა მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე. ერთი დღე-ღამის განმავლობაში მრავალ რაიონში, ცალკეულ ოლქებსა და რესპუბლიკებში ხელმოწერამ სარეალიზაციოდ გათვალისწინებულ თანხას გადააჭარბა და კვლავ იზრდება.

როგორც ყოველთვის, მოწინავენი არიან მოსკოვი და ლენინგრადი. მოსკოვში ხელმოწერამ სარეალიზაციოდ გათვალისწინებულ თანხას 34,7 პროცენტით გადააჭარბა. ლენინგრადის მშრომელთა ხელმოწერამ გათვალისწინებულ თანხას 29,7 პროცენტით გადააჭარბა. სვერდლოვსკში ხელმოწერა გათვალისწინებული თანხის 106,3 პროცენტს უდრის, ქალ. გორკში — 111,3 პროცენტს, ნოვოსიბირსკში — 122 პროცენტს. უდიდესი სამრეწველო ცენტრების მრავალმა მუშამ, მოსამსახურემ და ინტელიგენციამ სახელმწიფოს სესხად მისცეს ერთი თვის ხელფასზე მეტი.

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერა უდიდესი წარმატებით და ორგანიზებულობით ტარდება მოსკოვის ოლქში. 5 მაისს, დღის ბოლოსათვის, მესამე სამხედრო სესხზე ხელმოწერამ სარეალიზაციოდ გათვალისწინებულ თანხას 20,3 პროცენტით გადააჭარბა. კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ხელმოწერა გათვალისწინებული თანხის 115,6 პროცენტს უდრის. ოლქის მშრომელთაგან ხელმოწერის ჩატარების დროს ააღდ ფულად შემოვიდა 200 მილიონ მანეთზე მეტი. ხელმოწერა გრძელდება.

მაღალი საფინანსო შედეგები, განსაკუთრებით სოფლად, მიღწეულია საქართველოს სს რესპუბლიკაში, სადაც ხელმოწერა პირველი დღე-ღამის განმავლობაში გათვალისწინებული თანხის 100,8 პროცენტს შეადგენდა. კოლმეურნეებმა გათვალისწინებულ თანხაზე 20 მილიონი მანეთით მეტი ობლიგაციები შეიძინეს. ნაღდ ფულად შეტანილია 218 მილიონი მანეთი. რესპუბლიკის 38 რაიონში კოლმეურნეებმა მთლიანად დაჰფარეს თავიანთი ხელმოწერა.

სესხის გავრცელება ორგანიზებულად ტარდება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში, სადაც ხელმოწერამ გათვალისწინებული თანხის 107,4 პროცენტს მიაღწია, მათ შორის მუშა-მოსამსახურეებში — 103,6 პროცენტს, კოლმეურნეებში—112,4 პროცენტს და კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებში—გათვალისწინებული თანხის 100 პროცენტს. გლეხებისაგან ნაღდ ფულად შემოსულია 210 მილიონი მანეთი, რაც სოფლად ხელმოწერის 90 პროცენტს შეადგენს.

როგორც გასულ წლებში, მოწინავეთა შორის არის თურქმენეთის სს რესპუბლიკა. ხელმოწერამ აქ უკვე გადააჭარბა გათვალისწინებულ თანხას. ცნობები სესხის რეალიზაციის გათვალისწინებული თანხების გადაჭარბებით შესრულების შესახებ მიღებულია აგრეთვე სხვა ოლქებიდან და რესპუბლიკებიდან.

მოწინავე ქალაქები

ქუთაისი

6 მაისს საღამოს 10 საათისათვის ქალაქ ქუთაისში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ 9.840.000 მანეთს გადააჭარბა. შარშან შესაბამის პერიოდში გავრცელებული თანხა არ აღემატებოდა 8.400.000 მანეთს.

გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხა გუშინ საღამოსათვის ქუთაისის მშრომელებს შესრულებული ჰქონდათ 103,6 პროცენტით.

ფოთი

ქალაქ ფოთის მშრომელებს 6 მაისს საღამოსათვის ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 5.785.000 მანეთის რაოდენობით. ნავარაუდევი თანხა შესრულებულია 128,5 პროცენტით.

წარმატებით მიმდინარეობს სესხზე ხელმოწერა ფოთის რაიონის კოლმეურნეობებში. სოფელ პატარა-ფოთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ხურცილავამ ნაღდად შეიძინა 12.000 მანეთის ობლიგაციები, კოლმეურნე შ. ზოდებაძემ შეიძინა 10.000 მანეთის ობლიგაციები, სოფელ ჭალადიდის კოლმეურნეობის წევრებმა ა. დამენიამ და პ. ხუნწარიამ შეიძინეს 10.000 მანეთის ობლიგაციები თვითეულმა.

ვ. გუჯაბიძე

ზესტაფონი

ზესტაფონის რაიონში 5 მაისისათვის გავრცელებული იყო 13.763.000 მანეთის სესხი. აქედან საკოლმეურნეო სექტორში — 9.021.000 მანეთისა. ნაღდ ფულად შეძენილია 7.286.000 მანეთის ობლიგაციები.

სოფელ ქვედა საქარის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა პეტრე გურულმა ნაღდ ფულად შეიძინა 200.000 მანეთის ობლიგაციები, სოფელ ცხრაწყაროს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობიდან გერონტი გოცაძემ ხელი მოაწერა 351.000 მანეთის სესხზე და ფული იქვე შეიტანა. სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობიდან ვლ. კაკაურიძემ ნაღდ ფულად შეიძინა 160.000 მანეთის ობლიგაციები. სოფელ პირველი სვირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან ს. ბოჟორიშვილმა, ქვედა საქარის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობიდან დ. ნებიერიძემ, ცხრაწყაროს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობიდან ბ. გაგოშაშვილმა, ვ. მახათაძემ, დ. ბულუხაძემ, მ. ყენტმა, სოფელ დილიკაურის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრიდან“ კ. კავთელაძემ ხელი მოაწერეს 100.000 მანეთის სესხზე თვითეულმა და ფული იქვე შეიტანეს.

სოფელ მეორე სვირის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან ს. ლომინაშვილმა, სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ვ. კაკაურიძემ, სოფელ ცხრაწყაროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან ი. გუმბერიძემ და სოფელ კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობიდან ა. მახათაძემ ხელი მოაწერეს 50.000 მანეთის სესხზე თვითეულმა და აღნიშნული თანხა იქვე დაშფარეს.

სესხზე ხელისმოწერა წარმატებით გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ს. საუშვარელიძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ბერაძე

ზუგდიდი

(ტელეგრაფით)

ზუგდიდის რაიონში ახალ სესხს დიდი წარმატება ხვდა. 5 მაისს რაიონის კოლმეურნეებს ხელი მოწერილი ჰქონდათ 10.000.000 მანეთის სესხზე. კოლმეურნეობებმა შეიძინეს 2.500.000 მანეთის ობლიგაციები. მუშა-მოსამსახურეებში გავრცელდა 3.000.000 მანეთის სესხი. სულ რაიონში 5 მაისისათვის სესხზე ხელმოწერის თანხამ 15.880.000 მანეთს მიაღწია. აქედან კოლმეურნეების მიერ ნაღდად შეძენილია 8.220.000 მანეთის ობლიგაციები.

სოფელ ახალსოფლის კოლმეურნემ ს. ჯიქიამ და ბ. ჭურღულიამ ხელი მოაწერეს 50.000 მანეთის ობლიგაციებზე თვითეულმა და ფული იქვე შეიტანეს. სოფელ ჭაქვინჯის ზარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 1.000.000 მანეთის სესხზე. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ორდენოსანმა ა. ჯიქიამ ნაღდად შეიძინა 50.000 მანეთის ობლიგაციები. სოფელ ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სესხზე ხელი მოაწერეს 1.700.000 მანეთის რაოდენობით. ამ კოლმეურნეობის ფერმის გამგემ ფ. ნაბეკიამ ნაღდ ფულად შეიძინა 100.000 მანეთის ობლიგაციები. სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეებმა გ. ხარებავამ, ო. აფხაზავამ და მ. როგავამ ნაღდ ანგარიშზე შეიძინეს 30.000 მანეთის ობლიგაციები თვითეულმა. სესხის რეალიზაცია გრძელდება.

გ. ჩაჩიბაია
საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 მაისის ოპერაციული ცნობა

6 მაისის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

5 მაისის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 62 თვითმფრინავი.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაცია და ხომალდები უჩანაგენ მოწინააღმდეგის გემებს

4 მაისს დღისით და ღამით ჩვენი ავიაცია კვლავ ურტყამდა მტრის გემებს შავ ზღვაში. ავიაციის მოქმედების შედეგად ჩაძირულია 3.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი და 2 საგუშაგო კატერი. მოწინააღმდეგის 2 სხვა ტრანსპორტი სერიოზულად არის დაზიანებული.

სევასტოპოლის დასავლეთით მდებარე რაიონში შავი ზღვის ფლოტის ტორპედიანმა კატერებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ბადრაგი. ტორპედების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია 3 ტრანსპორტი 7 ათას ტონამდე საერთო წყალწყვისა და ორი სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ სცადა გაეუმჯობესებინა თავისი პოზიციები და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა. 6 შენაერთის ნაწილებმა უკუაგდეს გერმანელები საწყის ზღუდეებზე. ჭტრის იერიშების მოგერიებისას დაიწვა მოწინააღმდეგის 3 თვითმავალი ქვემეხი და მოკლულია 200-ზე მეტი ჰიტლერელი.

ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის აეროდრომს სტანისლავის რაიონში. დაბომბვის შედეგად ხმელეთზე მოსპობილია გერმანელთა 8 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საჰაერო ბრძოლებში აეროდრომის თავზე ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ტარასპოლის სამხრეთით ექვსი მზვერავი გვარდიის უფროს ლეიტენანტ ამხ. გერასიმოვის მეთაურობით შეიჭრა მოწინააღმდეგის სანგარში და ხელჩართულ ბრძოლაში მოსპო 10 გერმანელი. მალე ჰიტლერელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. **საბჭოთა მეომრები ორი საათის განმავლობაში** ეწეოდნენ ბრძოლას მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების წინააღმდეგ. მზვერავებმა სანგარი შეინარჩუნეს მანამ, სანამ მათ ჩვენი ქვეგანაყოფებიც მიეშველებოდნენ.

* * *

5 მაისს ჩვენმა ტორპედოსანმა თვითმფრინავმა გერმანელთა ტრანსპორტი შეამჩნია ფინეთის ყურეში. მფრინავმა ლეიტენანტმა ამხ. კლევცოვმა და შტურმანმა ლეიტენანტმა ამხ. გერახინმა ტორპედით ჩასძირეს მოწინააღმდეგის 3 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

* * *

ლიტველთა პარტიზანულმა რაზმებმა „განმათავისუფლებელმა“ და „ბრძოლამ“ ლიანდაგიდან გადააგდეს ფრონტის ხაზისაკენ მიმავალი გერმანელთა სამხედრო ეშელონები. მარცხის შედეგად დაიმსხვრა 4 ორთქლმავალი და 28 ვაგონი და პლატფორმა. „შურისმგებლის“, „გამარჯვებისათვის“, „ყალირისის“ და ადამ მიცკევიჩის სახელობის რაზმების პარტიზანებმა 700-ზე მეტი რელსი ააფეთქეს. მატარებლების მიმოსვლა რკინიგზის ამ უბანზე შეწყვეტილია რამდენიმე დღით.

* * *

ტყვედ წამოყვანილი, აგრეთვე წითელი არმიის მხარეზე გადმოსული რუმინელი ჯარისკაცები და ოფიცრები აცხადებენ, რომ ურთიერთობა რუმინელთა და გერმანელთა შორის მეტად გამწვავდა. ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში მთელ რიგ უბნებზე შეიარაღებული შეტაკებები მოხდა გერმანელთა და რუმინელთა ქვეგანაყოფებს შორის. ტყვედ წამოყვანილმა რუმინელთა მე-6 ცხენოსანი დივიზიის მე-6 პოლკის სუბლოკოტენენტმა (უფრის ლეიტენანტის ხარისხს) იონ ჯორჯესკუმ განაცხადა: „გერმანიის ამ ომში არა ჰყოლია და არცა ჰყავს მოკავშირეები ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. გერმანელებმა გათელეს და დაიმონეს რუმინეთი, უნგრეთი და სხვა ქვეყნები. ბევრი რუმინელი ოფიცერი მიხვდა, რომ რუმინეთის არმია გერმანელებს ესაჭირეობათ მხოლოდ. როგორც საზარბაზნე ხორცი. რუმინეთის ბედი სულაც არ აინტერესებთ გერმანელებს. ისინი ეზად არიან ნანგრევებად და ფეფელად აქცეიონ ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქი და სოფელი, ოღონდ კი ვაჟიანურობ გერმანიის საზღვრებთან საომარი მოქმედების მიახლოების ვადა.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გერონტი გოცაძე, რომელმაც ხელი მოაწერა სესხზე 351.000 მანეთის რაოდენობით, ყვარლის მტს-ის კომბაინერი ვლადიმერ ვარადაშვილი, რომელმაც ხელი მოაწერა სესხზე 260.000 მანეთის რაოდენობით, მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი პეტრე გოგსაძე, ყვარლის კოლმეურნეობა „ახალი წყაროს“ თავმჯდომარე ადამ სეფაშვილი, რომელთაც ხელი მოაწერეს სესხზე 100.000 მანეთის რაოდენობით თვითეულმა და ობლიგაციათა ღირებულება ნაღდად შეიტანეს.

ახალი სესხის გავრცელება საქართველოში

გყიბული

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

შესანიშნავად მიმდინარეობს ახალ სესხზე ხელმოწერა. 5 მაისს შუადღის 12 საათისათვის გავრცელებული იყო 5.430.000 მანეთის სესხი. აქედან ნაღდ ფულზე შეძენილი იყო 1.200.000 მანეთის ობლიგაციები.

სესხზე ხელისმოწერა კარგად ჩატარდა ტყიბულის მაღაროებსა და მეშახტეებს შორის. 5 მაისს დილის 10 საათისათვის მეშახტეებს ხელი მოწერილი ჰქონდათ 1.400.000 მანეთის ობლიგაციებზე. მეშახტეებმა: შ. კახიძემ ხელი მოაწერა 5.000 მანეთის ობლიგაციებზე, ბ. თოდიძემ—3.500 მანეთზე, ნ. კრასნოგოლოვიცმა — 5.000 მანეთზე, დ. ტრუფანოვმა—4.500 მანეთზე.

ახალი სესხი წარმატებით ვრცელდება რაიონის კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობა „მოშავლის“ თავმჯდომარემ ორდენოსანმა ცნობილაძემ ნაღდად შეიძინა 25.000 მანეთის ობლიგაციები, სოფელ კურსების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბანცაძემ და სოფელ კისორეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ცირეკიძემ ხელი მოაწერეს 20.000 მანეთის ობლიგაციებზე თვითეულმა.

დ. საბელაშვილი

თიანეთი

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

თიანეთში წარმატებით ვრცელდება მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხი. 5 მაისს ღამის 11 საათისათვის გავრცელებული იყო 4.688.000 მანეთის ობლიგაციები.

სოფელ გუდანელების მახარაძის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ჭინჭარაულმა ნაღდად შეიძინა 150.000 მანეთის ობლიგაციები. სოფელ ბახტრიონის ბაკრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ბურდულმა ხელი მოაწერა 120.000 მანეთის ობლიგაციებზე. ამავე კოლმეურნეობის წევრმა გ. ხარხელაურმა ნაღდად შეიძინა 100.000 მანეთის ობლიგაციები. კოლმეურნე ს. წივილაშვილმა ხელი მოაწერა 50.000 მანეთის ობლიგაციებზე. სოფელ თოლენჯის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ზარიძემ შეიძინა 60.000 მანეთის ობლიგაციები. ხელმოწერა გრძელდება.

ა. აფხაზავა

წალენჯიხა

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

5 მაისს ნაშუადღევის 1 საათისათვის რაიონში გავრცელებული 3.245.000 მანეთის სესხი. კოლმეურნეებში სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა უდრის 2.655.000 მანეთს.

სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 221.000 მანეთის სესხზე, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა — 180.000 მანეთზე. სოფელ ფახულანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. გოგობიამ ნაღდად შეიძინა 20.000 მანეთის ობლიგაციები, კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. გოგობიამ — 10.000 მანეთის ობლიგაციები.

ვ. ბელქანია

ორჯონიკიძე (ხარაგოული)

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

სესხის რეალიზაციის პირველ დღეს კოლმეურნეებს შორის სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა უდრიდა 4.136.000 მანეთს.

სოფელ ხვის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეებმა ნაღდად შეიძინეს 400.000 მანეთის ობლიგაციები. სოფელ ლაშის სასოფლო საბჭოში შემავალმა კოლმეურნეებმა სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა 300.000 მანეთი იქვე შეიტანეს.

სოფელ დეისის კოლმეურნეობის მოთაგარიშემ ი. ორთოიძემ და სოფელ ნადაბურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. გელაშვილმა თვითეულმა ხელი მოაწერა და ნაღდ ფულზე შეიძინა 30.000 მანეთის ობლიგაციები.

სოფელ ისლარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ჭიპაშვილმა და სოფელ ღვერკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კვინიკაძემ შეიძინეს 20.000 მანეთის ობლიგაციები თვითეულმა. მოლითის საშუალო სკოლის მოსწავლემ ბ. არევაძემ ხელი მოაწერა 10.000 მანეთის ობლიგაციებზე.

დ. მაისურაძე

ზუვარჩელი

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოსვლის პირველ დღესვე ქ. ტყვარჩელში სესხზე ხელმოწერის საერთო თანხამ 2.000.000 მანეთს მიაღწია.

სესხზე ხელმოწერა წარმატებით გრძელდება.

ა. კალატოზაშვილი

ცხაკაია

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

5 მაისისათვის რაიონში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ 7.490,000 მანეთი შეადგინა. აქედან ნაღდ ფულად შეძენილია 4.032.000 მანეთის ობლიგაციები.

სოფ. თეკლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეიძინეს 320.000 მანეთის ობლიგაციები. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ფოჩხუამ ხელი მოაწერა 30.000 მანეთის სესხზე. ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ნაღდზე შეიძინა 28.000 მანეთის ობლიგაციები. ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ხუხიამ ხელი მოაწერა 30.000 მანეთის ობლიგაციებზე, ფერმის გამგემ ნ. ჯოჯუამ 20.000 მანეთისაზე. კოლმეურნეებმა ს. ნინუამ და გ. გაფლიამ—10.000 მანეთის ობლიგაციებზე თვითეულმა.

ს. კუჭავა

თეთრი წყარო

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

პირველ დღეს მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა 7.050.000 მანეთს უდრიდა. ნაღდ ფულზე კოლმეურნეებს შეძენილი ჰქონდათ 3,700.000 მანეთის ობლიგაციები, კოლმეურნეობებს — 1.064.000 მანეთისა.

სოფელ კოსტანტინოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ბელიევმა ნაღდ ანგარიშზე შეიძინა 60.000 მანეთის ობლიგაციები. სოფელ დიდი თონეთის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. თაქთაქიშვილმა და სოფელ პატარა ენაგეთის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. სელეპანოვმა 50.000 მანეთის ობლიგაციები შეიძინეს თვითეულმა.

ა. ჩავლეიშვილი

ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი სიკო ბუჯიაშვილი, რომელმაც სესხზე ხელი მოაწერა 100.000 მანეთის რაოდენობით. ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე ხვირის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი სევერიან ლომინაშვილი და სოფელ კვალითის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ალექსანდრე მახათაძე—ხელი მოაწერეს სესხზე 50.000 მანეთის რაოდენობით თვითეულმა, და მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ალექსანდრე გოგნაძე — ხელი მოაწერა სესხზე 30.000 მანეთის რაოდენობით. ობლიგაციათა ღირებულება თვითეულმა მათგანმა ნაღდად შეიტანა.

ცნობა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიისა

ლენინგრადის ოლქის ქალაქ ნოვგოროდსა და ნოვგოროდის რაიონში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილი ნგრევისა და ბოროტმოქმედებათა შესახებ

ძველისძველი რუსული ქალაქი ნოვგოროდი გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ნაგრევებად გადააქციეს. მათ დანგრიეს ისტორიული ძეგლები, მათი ნაწილი კი დაარღვიეს თავდაცვით ნაგებობათა ასაშენებლად.

დოკუმენტალური მასალების, მოწმეთა ჩვენების, ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: თავმჯდომარე ამხ. ტ. ფ. შტიკოვი, კომისიის წევრები — რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კ. დ. ბელოკუროვა, მშრომელთა დეპუტატების ნოვგოროდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ვ. იუდინი, საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრი ი. ა. გრუზდევი, ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტის წარმომადგენელი — ლენინგრადის ოლქის ეკლესიების კეთილმოწყალე დეკანოზი ნ. ი. ლომაკინი, სახელმწიფო მუზეუმის ძველი რუსული ხელოვნების განყოფილების გამგე ი. ნ. დმიტრიევი, ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი — არქიტექტორი ს. ნ. დავიდოვი, — დაადგინა გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების მიერ ქალაქ ნოვგოროდის დანგრევისა და მისი მსოფლიოდცნობილი მხატვრული საუნჯის მოსპობის ფაქტები, აგრეთვე იმ ბოროტმოქმედებათა ფაქტები, რაც მათ ჩაიდინეს მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეებისა და წითელი არმიის იმ ოფიცრებისა და მებრძოლების მიმართ, რომლებიც ტყვედ ჩაიგდეს.

ქალაქ ნოვგოროდის დანგრევა

სამამულო ომამდე ნოვგოროდი დიდი სამეცნიერო და კულტურული ცენტრი იყო. აქ დაცული იყო რუსული ხელოვნებისა და კულტურის ისტორიული ძეგლები. აქ იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ფილიალი, მუზეუმი, სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამედიცინო და ავტოსაგზაო ტექნიკუმები, პედაგოგიური სასწავლებელი, საფერშლო-სამეანო და ფარმაცევტიული სკოლები.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დასწვეს და დაანგრიეს ძველის-ძველი რუსული ქალაქი ნოვგოროდი. 2.346 საცხოვრებელი სახლიდან ქალაქში გადარჩა მარტო 40 სახლი, ფაშისტებმა ნოვგოროდში დანგრიეს ხორცკომბინატი, პურის კომბინატი, ფეხსაცმლისა და ავეჯის ფაბრიკები, სამსხმელო, მექანიკური, გემსარემონტო, ხე-ტყის სახერხი, ორი აგურის ქარხანა, კრამიტის ქარხანა, გემთსაშენი, სასკოლო ნივთების ფაბრიკა, რკინიგზის დეპო, გზათა სახალხო კომისარიატის სარემონტო სახელოსნოები; მწყობრიდან გამოიყვანეს წყალსადენი, წყალსატუმბავი და წყალსაქაჩავი სადგურები; დაანგრიეს მთელი ელექტრომეურნეობა, ქალაქის სატელეფონო სადგური, ფოსტა, ტელეგრაფი, რადიოკვანძი.

თავიანთი უკანდახევისას ფაშისტებმა მუზეუმიდან გაიტაცეს არქეოლოგიის, ისტორიისა და ხელოვნების უძვირფასესი კოლექციები, ხოლო მუზეუმის შენობა და მისი სამხატვრო გალერეა დაანგრიეს; მათ გაძარცვეს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ფილიალის უნიკალურ ფოტოთეკა და ბიბლიოგრაფიული კარტოთეკა; დაანგრიეს და დასწვეს სამასწავლებლო ინსტიტუტი, ტექნიკუმები, პედაგოგიური სასწავლებელი, სამედიცინო სკოლები, 5 კლუბი, 2 კინოთეატრი, წითელი არმიის სახლი, ქალაქის 1.040-ადგილიანი თეატრი, 3 საავადმყოფო, 5 ამბულატორია, სამშობიარო სახლი, საბავშვო პოლიკლინიკა, 5 საბავშვო ბაღი, ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი კორპუსი.

ყოველივერი ნგრევა ნოვგოროდში გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების მიერ ჩადენილია წინასწარი გაბრაზებით და გარკვეული გეგმით, რაც მოწმეთა მრავალრიცხოვანი ჩვენებით მტკიცდება.

გერმანელმა სამხედრო ტყვემ, 1-ლი ავიასაველე დივიზიის მე-3 ბატალიონის მე-9 ასეულის უფროსმა ეფრეიტორმა პაულ შიდტმა აჩვენა: „1943 წლის სექტემბრის დასაწყისამდე მდინარე ვოლხოვის მარჯვენა ნაპირზე ნოვგოროდიდან ხუტინისაკენ სწარმოებდა ახალი გზატაკილის მშენებლობა. საშენი მასალა ავტომობილებით მოჰქონდათ ნოვგოროდიდან, რისთვისაც ამონალი სპეციალურად აფეთქებდნენ ქალაქის შენობებსა და ნაგებობებს“.

პელაგია ნიკოლოზის-ასულ დერიუგინას ჩვენებიდან სჩანს, რომ გერმანელთა სარდლობა წინასწარი განზრახვით ანგრევდა ქალაქის საუკეთესო შენობებს: „1941 წლის აგვისტოში გერმანელები საბჭოთა ტყვეებს არღვევინებდნენ აფრის საბჭოს და აფრი რკინიგზით გაჰქონდათ, ამასთან არღვევდნენ არა დანგრეულ სახლებს, არამედ სწორედ კარგებს“.

ნგრევა მარტო შენობებით როდი განისაზღვრებოდა. გერმანელები ანგრევდნენ და იტაცებდნენ აგრეთვე სხვა ძვირფას ქონებას, თვით სხვადასხვანაირ მიწისქვეშა ნაგებობებსაც კი. გერმანელმა სამხედრო ტყვემ ავიასაველე დივიზიის მე-2 ბატალიონის მე-5 ასეულის ჯარისკაცმა ვალტერ კულიკმა აჩვენა: „1943 წლის ნოემბრის ბოლოს მე ვნახე, თუ როგორ სთხრიდნენ არმიის კავშირგაბმულობის ჯარისკაცები მიწისქვეშა კაბელს ნოვგოროდიდან დერევენციასკენ მიმავალ გზაზე პოგორელიცის რაიონში. ამ ჯარისკაცების სიტყვით, სპილენძის კაბელი გერმანიაში იგზავნებოდა. ნოემბერში მათ 25 კილომეტრამდე ასეთი კაბელი ამოთხარეს“.

ნოვგოროდის ისტორიული ძეგლების დანგრევა

გერმანელმა ფაშისტმა ვანდალებმა ნოვგოროდში დაანგრიეს და მოსპეს ძველი რუსული ხელოვნების უდიდესი ძეგლები. იერის მონასტრის გიორგის ტაძარში, რომელიც აგებული XII საუკუნის დასაწყისში, ფაშისტებმა დაანგრიეს ტაძრის კამარები და XII საუკუნის ფრესკებიანი კოშკის კედლები.

XI საუკუნეში აგებული სოფიოს ტაძარი რუსული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ძეგლი, მსოფლიო ხელოვნების განთქმული ძეგლი იყო. XII საუკუნის ფრესკების, XII—XVII საუკუნეების ხატების, ძველი ჯვარცმულებისა და სხვა შინაგანი მორთულობის წყალობით ეს ტაძარი ძველი რუსული ხელოვნების საგანძურს წარმოადგენდა. ტაძრის შენობა გერმანელებმა დაანგრიეს. ტაძრის შუათანა თაღის დანგრევამ გამოიწვია ფრესკების სრული მოსპობა; ჩრდილო-დასავლეთ თაღში დანგრეულია გუმბათი და კედლის ნაწილი. ბევრ ადგილას კედლები განგრეულია, დანგრეულია რამდენიმე კამარა და ჩრდილოეთი პორტალის ზემო ნაწილი. ჰიტლერელებმა საფეხბით გაძარცვეს ტაძრის შინაგანი მორთულობა, კანკელებიდან წაიღეს ყველა ხატი, ძველი ჭაღები, მათ შორის ის ჭაღი, რომელიც ბორის გოდუნოვს ეკუთვნოდა.

დადგენილია, რომ სოფიოს ტაძრის გაძარცვას უშუალოდ ხელმძღვანელობდა გერმანელთა 1-ლი ავიასაველე დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი ვილკე.

გერმანელმა სამხედრო ტყვემ მე-2 ბატალიონის მე-5 ასეულის უფროსმა ეფრეიტორმა ვალტერ კულიკმა აჩვენა: „1943 წლის 13 მაისს კრემლში მივდიოდი და ვნახე, თუ როგორ ხსნიდნენ ეკლესიის გუმბათზე გერმანელი ჯარისკაცები მოოქროულ ფურცლებს. მიწაზე ეყარა სულ მცირე ერთი კვადრატული მეტრი ოდენობისა და 2-3 მილიმეტრი სისქის ფურცლები. თვით გენერალ-მაიორი ვილკე ტაძრის ახლოს იდგა და ყოველივე ამას ხედავდა. გენერალ-მაიორ ვილკეს შოფერმა მიამბო, რომ ვილკემ ბატალიონის ხაზინადარს შტინცკოფს უბრძანა, — მოოქროული ფურცლებისაგან თეფშები, სასმისები და ჩაის სერვიზი გამიკეთებინეო“.

ხარების ეკლესია არკაჟზე, XII საუკუნისა, ფრესკებით, რომლებიც იმავე საუკუნეშია შესრულებული, ფაშისტებმა ხანგრძლივ საცეცხლე წერტილად და საყაზარმო სადგომად აქციეს. საკურთხევლის ფანჯრებში მოწყობილია სათოფურები, სამხრეთ ნახევარწრეში აგებულია ხის გადასახურავი კოჭებზე, რომლებიც ჩარჭობილია ძველმხატვრობიან კედლებში. სამხრეთ კედელში გამონგრეულია სათოფური. სამხრეთის ნახევარწრის ფრესკები კედლის მნიშვნელოვან ნაწილზე ჩამონგრეულია.

მაძინების ეკლესია ვოლოტოვოს მინდორში, ნოვგოროდის XIV—XV საუკუნეთა არქიტექტურის ძეგლი, გერმანელებმა ქვისა და აგურის გროვად აქციეს, რომელთა შორისაც მოსჩანს კედლების ნაშთი; ამ ტაძრის XIV საუკუნეში შესრულებული მხატვრობა მონუმენტალური ფერწერის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს წარმოადგენდა და ფართოდ იყო ცნობილი.

მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია ილიას ქუჩაზე — ნოვგოროდის XIV საუკუნის არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, განსაკუთრებით ცნობილია თავისი მხატვრობით, რაც იმავე საუკუნეშია შესრულებული დიდი ბიზანტიელი ოსტატის თეოფანე ბერძნის მიერ. ეკლესიის თავის დოლში და აღმოსავლეთი კედლის ზემო ნაწილში ოკუპანტებმა ფართო სათოფურები გააკეთეს, შენობის დასავლეთი ნაწილი დაანგრიეს, მოსპეს შუა-დასავლეთი კამარა, გაანგრიეს ზემო კუთხის კამარები. ნგრევის შედეგად სამხრეთ-დასავლეთი კუთხე ფართო ნახვრალებით მოშორდა შენობას. ფრესკების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა, ხოლო გადარჩენილი ნაწილები გაფუჭებულია ჰიტლერელი ჯარისკაცების მიერ.

ფაშისტებმა ბარბაროსულად დაანგრიეს XII საუკუნის ძველ რუსული და მსოფლიო ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი — „სპას-ნერედიცის“ ეკლესია, რომელიც შიგნით მოხატული იყო მსოფლიოდცნობილი ფრესკებით. ეკლესია XII საუკუნის ბიზანტიური და რუსული ფერწერის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენდა. ეკლესიის შენობა გერმანელებმა ნანგრევებად აქციეს. ძეგლის დაღუპვა უდიდესი დანაკლისია რუსული და მსოფლიო კულტურისათვის.

ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჰიტლერელების პარპაშმა ნოვგოროდში გამოიწვია ძველი რუსული ხუროთმოძღვრების აგრეთვე მთელი რიგი სხვა შესანიშნავი ძეგლების დანგრევა. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით დაზარალდნენ კრემლის ძველი კოშკები: დანგრეულია კოკუის კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხის ზემო ნაწილი, მაცხოვრის კოშკის ქვემო კამარა; 5 კოშკზე მოსპობილია სახურავი; ვლადიმერის კოშკში გერმანელებმა თაღი გამოანგრიეს. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა კრემლში გაანადგურეს ავრეთვე ძველი შენობები, რომლებიც XV-XVII საუკუნეებს ეკუთვნოდა. აქ მოწყობილი იყო ყაზარმები, ჯარისკაცთა კლუბები, იარაღის სახელოსნოები, საწყობები და სხვ.

გერმანელთა მე-18 არმიის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ლინდემანის ბრძანებით, გერმანელმა ბარბაროსებმა დაარღვიეს და გერმანიაში გასაგზავნად გაამზადეს რუსეთის 1.000 წლისთავის ძეგლი. ეს ძეგლი აღმართულ იქნა კრემლის მოედანზე 1862 წელს ცნობილი რუსი მოქანდაკის აკადემიკოს მიკეშინის პროექტის მიხედვით და მხატვრული სახეებით აღიბეჭდავდა ჩვენი სამშობლოს განვითარების ძირითად ეტაპებს XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. ძეგლის კომპოზიციას წარმოადგენდნენ ბრინჯაოს ფიგურები ყველაზე გამოჩენილი რუსი სახელმწიფო, საზოგადო და სამხედრო მოღვაწეებისა, აგრეთვე მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეებისა, რომლებიც რუსი ხალხის კულტურის სიდიადისა და შემოქმედებითი განვითარების საუკეთესო წარმომადგენლები არიან. ჰიტლერელმა ბარბაროსებმა ნაწილ-ნაწილად დაშალეს ძეგლი და დამტვრიეს სკულპტურული გამოსახულებანი. მაგრამ ძეგლის, როგორც ლითონის ჯართის გაგზავნა გადასადნობად, ფაშისტებმა, ვერ მოახერხეს. საბჭოთა მეომრებმა ისინი ნოვგოროდიდან გარეკეს.

გერმანელმა სამხედრო ტყვემ, 28-ე მუბუქი ქვეითი დივიზიის 49-ე ეგერთა პოლკის მე-10 ასეულის ზემდგომმა შტაბს-ფელდფებელმა იოჰან პოდემ აჩვენა: „1944 წლის იანვრის დამდეგს მე ვნახე, რომ ძეგლი დაშლილი იყო ნაწილებად, ყოველი ნაწილი დანომრილი იყო. ჯარისკაცთა ლაპარაკში გავიგონე, რომ გენერალ-პოლკოვნიკმა ლინდემანმა ბრძანება გასცა დაეშალათ ძეგლი და გერმანიაში გაეგზავნათ“. მეორე სამხედრო ტყვემ 1-ლი ავიასაველე დივიზიის 1-ლი ბატალიონის 1-ლი ასეულის ჯარისკაცმა ვალტერმა აჩვენა: „1944 წლის 8 იანვარს მე ვნახე, თუ როგორ ხსნიდნენ ჯარისკაცები ფიგურებს კრემლში არსებულ ძეგლს. მე გავიგონე, ძეგლს გერმანიაში გასაგზავნად ამზადებენო“.

ასეთი ჩვენებანი, რომლებიც გერმანელ ფაშისტ ჯარისკაცთა ხროვას ძარცვასა და ვანდალიზმში ამხილებენ, ცოტა როდია.

მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეებისა და სამხედრო ყვეების ქლეგა

სპეციალურმა კომისიამ დაადგინა გერმანელ ოკუპანტთა მიერ მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეებისა და სამხედრო ტყვეების გეგმაშეზომილი ქლეტის მრავალი ფაქტი. კოლმოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალოდ იმყოფებოდა 800 ავადმყოფი. 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში ყველა ეს ავადმყოფი ჰიტლერელებმა დახოცეს. 1941 წლის ოქტომბერში ფაშისტმა მტარვალებმა ხუტინის საავადმყოფოში აწამეს და მოკლეს 250 ავადმყოფი. სოფლებში ქშენტიფსა და ზაოლეშიში ჰიტლერელებმა დახოცეს. 1941 წლის ოქტომბერში ფაშისტმა მტარვალებმა ხუტინის საავადმყოფოში აწამეს და მოკლეს 250 ავადმყოფი. სოფლებში ქშენტიფსა და ზაოლეშიში ჰიტლერელებმა დახოცეს 30 მცხოვრები, მათ შორის იყვნენ ქალები, მოხუცები და ორი ძუძუთა ბავშვიც კი. აღრიცხულია აგრეთვე საერთოდ მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობის გაქლეტის მრავალი ფაქტიც. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობა „ზავერიაესკიე პოკოსში“ 1942 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა დაბომბეს ქალაქ ნოვგოროდის მცხოვრები სიმონ ეფსილის-ძე მასალსკი თავის ოჯახიანად და ნათესავებიანად. ამავე საბჭოთა მეურნეობაში გერმანელებმა დახვრიტეს კიდევ 25 კაცი, მეტწილად ქალები და ბავშვები. სოფელ ეფსტიანაია გორკაში გერმანელთა სადამსჯელო რაზმმა 2.000-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები გაქლტა.

ნოვგოროდის რაიონში გერმანელების მიერ ბარაკებსა და ფარდულებში მოწყობილი იყო 10 ბანაკი საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის. ეს ბანაკები მდებარეობდა საბჭოთა მეურნეობების — „ზავერიაესკიე პოკოსის“ და „ჩაიკის“ ტერიტორიაზე, კრომატის ქარხანაში, სოფლებში ვიაეშჩეში, ლიუბოლიადში, გრიგოროვოში და სხვებში. სამხედრო ტყვეებს აქ მძიმე ანტისანიტარულ პირობებში ამყოფებდნენ, სცემდნენ და აწამებდნენ. შიშშილის, აუტანელი შრომის, დახვრეტის შედეგად ნოვგოროდის რაიონის მარტო ექვს ბანაკში 5.000 სამხედრო ტყვედან 1943 წლის დამლევისათვის 336 კაცი გადარჩა.

გერმანელი ფაშისტი მტარვალები საბჭოთა ადამიანებს და განსაკუთრებით კი გერმანელთა ხელში ჩავარდნილ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს სასტიკ ტანჯვასა და წამებას აყენებდნენ. სოფელ ოსიაში კომისიამ აღმოაჩინა 30 საბჭოთა სამხედრო ტყვის გვამი, რომლებსაც ტანზე წამების კვალი აჩნდათ. მათ შორის გამოცნობილი არიან: ლეიტენანტი ა. ფ. კალმეკოვი, ეფრეიტორი მ. გ. პოპოვი, მებრძოლი მ. ი. სიტნიკი და სხვები.

სოფელ მალოე პოდოსენიეს მცხოვრებმა მოქალაქე დანიელ თეოდორეს-ძე კუზნეცოვმა კომისიას აცნობა, რომ „სამხედრო ტყვეები მუშაობდნენ გზაში, ისინი მშიერები, დასიებული იყვნენ; ყოველდამე ბანაკიდან მკვდრები გაჰქონდათ და მე მინახავს, თუ როგორ იხოცებოდნენ ადამიანები სამუშაოზე. გერმანელ მებადრაგეებს, იარაღის გარდა, მუდამ ჰქონდათ კეტები. საბჭოთა ადამიანების ცემა მათ სისტემად ჰქონდათ შემოღებული“. საბჭოთა მეურნეობა „ზავერიაესკიე პოკოსის“ მცხოვრებმა ქალმა გვაცნობა: „მე თვითონ პირადად მინახავს, თუ როგორ ხვრეტდნენ გერმანელები ოქვე სამუშაოზე ან გზაში საბჭოთა სამხედრო ტყვეებს, რომლებიც ფეხზე ველარ დგებოდნენ“.

ტყვედ წამოყვანილმა ყველა ქანდარმერიის უნტერ-ოფიცერმა იონდამ კომისიას აცნობა: „მე ვიცი, რომ გერმანელებს პრაქტიკაში ფართოდ ჰქონდათ შემოღებული საბჭოთა სამხედრო ტყვეების დახვრეტა. ხვრეტდნენ ავადმყოფებს, სუსტებსა და იმათ, ვისაც მოძრაობა არ შეეძლო“.

საბჭოთა მოქალაქეების გარეკვა გერმანიის მონობაში

გერმანელთა 1-ლი ავიასაველე დივიზიის მეთაურის გენერალ-მაიორ ვილკეს ბრძანებით, ქალაქის გერმანელმა კომენდანტმა კაპიტანმა რუფმა 1943 წლის სექტემბერ-ნოემბერში მოაწყო ათასობით მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქის ძალად გარეკვა გერმანიაში.

გერმანელმა სამხედრო ტყვემ, მე-2 ბატალიონის შტაბის უფროსმა ეფრეიტორმა რობერტ პენგენმა გერმანიაში საბჭოთა ადამიანების ძალად გარეკვის გამო შემდეგი გვაცნობა: „1943 წლის სექტემბერში ქალაქის კომენდანტმა კაპიტანმა რუფმა დივიზიის აღალის ჯარისკაცები გამოიყენა და მთელი რუსი მოსახლეობა გაასახლა ნოვგოროდიდან და მისი რაიონიდან. რუს მცხოვრებთა სამი საათის ვადა მისცეს თავიანთი ნივთების ჩასალაგებლად და წასაღებად. ჩვენი ბატალიონის ჯარისკაცები, რომლებიც გასახლებულთა ახლდნენ, ამბობდნენ, რომ მათთვის საშინელება იყო იმის დანახვა, თუ როგორ ტიროდნენ რუსი ქალები და ბავშვები, რომლებიც ძალულებულ იყვნენ მიტოვებინათ თავიანთი სამშობლო სოფლები“.

გერმანიაში სამუშაოდ წასვლაზე უარის თქმისათვის ფაშისტები საბჭოთა ადამიანებს სცემდნენ და ხვრეტდნენ.

გერმანიის მონობაში მოსახლეობის ძალად გარეკვის შედეგად ფაშისტ ოკუპანტთაგან ნოვგოროდის განთავისუფლებისას იქ დარჩა მხოლოდ 30 მცხოვრები, ხოლო ნოვგოროდის რაიონში 80 ათასი მოქალაქიდან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან რაიონის განთავისუფლების შემდეგ აღრიცხულია მხოლოდ 900 კაცი.

ნოვგოროდის რაიონის სახელმწიფო საწარმოთა და კოლმეურნეობათა დანგრევა

ნოვგოროდის რაიონს ჰქონდა განვითარებული სასოფლო მეურნეობა, ხე-ტყის, ტორფის მრეწველობა. ოკუპაციის განმავლობაში ჰიტლერელებმა დასწვეს და დაანგრიეს 96 დაბა და სოფელი. 8.849 საცხოვრებელი სახლიდან ოკუპანტებმა მოსპეს 5.630 საცხოვრებელი სახლი და ნაწილობრივ დაანგრიეს 1.705 სახლი; 76 სკოლიდან დასწვეს 75, მათ შორის: 3 საშუალო, 13 არასრული საშუალო და 59 დაწყებითი სკოლა, რომლებშიც 15 ათასზე მეტი მოწაფე სწავლობდა; დასწვეს 3 საავადმყოფო, 10 საფერშლო-სამეანო პუნქტი, 7 სასოფლო ზოოვეტერინარული პუნქტი, თესლის საკონტროლო და ვეტერინარული ლაბორატორიები, საინკუბაციო და მეტეოროლოგიური სადგურები, 165 მაღაზია და ფარდული; დაანგრიეს ათობით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება—კლუბები, ქოხ-სამკითხველოები, სოფლის ბიბლიოთეკები და სხვა; გერმანელებმა დაანგრიეს აგრეთვე ყველა ავტრახანა და ხე-ტყის სახერხი ქარხნები და ტორფის საწარმოები.

ჰიტლერელებმა ნოვგოროდის რაიონის კოლმეურნეობებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და მოსახლეობას უდიდესი ზარალი მიაყენეს, რაიონიდან მათ გაიტაცეს 2 ათასზე მეტი ცხენი, 10 ათასი ძროხა, 18 ათასი სული წვრილფეხა რქიანი საქონელი; გაიტანეს სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ქონება და მთელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, თვით ხის ნიჩბები და ფოცხებიც კი; სავსებით მოსპეს მთელი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი შოლოხოვის, ნიკოლსკის, ხუტინის, დუბროვკის, ლიუბეკიისა და კოტოვიცკის სასოფლო საბჭოებში.

* * *

სპეციალური კომისიის მიერ წარმოებული გამოკვლევის დოკუმენტალური მასალების, მოწმეთა ჩვენებისა და დაზარალებულთა განცხადებების საფუძველზე საგანგებო სახელმწიფო კომისიამ დადგინა, რომ ძველი რუსული ქალაქის ნოვგოროდის წინასწარგაწირული დანგრევა მისი მსოფლიოდცნობილი ხელოვნების ძეგლებიანად, მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანებისა და სამხედრო ტყვეების მასობრივი გაჟლეტა, აგრეთვე გერმანიის კატორღაში საბჭოთა მოქალაქეების გარეკვა ჩადენილია გერმანიის არმიის ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან ჰიტლერული მთავრობის ბრძანებით და გერმანელთა მე-18 არმიის სარდლის გენერალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძმე უკრაინა აღორძინების გზაზე

ექვსი თვე უკრაინის დედაქალაქ კიევის განთავისუფლებიდან

სახელგანთქმული უკრაინელი პარტიზანი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. გიორგი არტოზეევი

უკრაინის მინდვრებზე

უკრაინელი კოლმეურნეები ცდილობენ დათესონ რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძლება მეტი მარცვლეული და ტექნიკური კულტურები.

საგაზაფხულო თესვა გაჩაღებულია. ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის ოლქებმა უკვე გადაეარბებით შეასრულეს საადრეო საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. ზაპოროჟიეს ოლქში დათესილია 229.700 ჰექტარი, დნეპროპეტროვსკის ოლქში — 157.700 ჰექტარი.

თესვა გაჩაღდა დონბასის რაიონშიც. სტალინოს ოლქში დათესილია 126.500 ჰექტარი, ვოროშილოვგრადისაში — 75.000 ჰექტარი. დღითიდღე იზრდება მინდვრად მუშაობის ტემპები ხარკოვის, პოლტავის, ჩერნიგოვისა და სუმის ოლქებში.

სამუშაოდ გამოვიდნენ კოლმეურნეები იმ ოლქებშიაც, სადაც სულ რამდენიმე დღის წინათ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ცხარე ბრძოლები სწარმოებდა. მაგალითად კიროვოგრადის ოლქში დათესილია 15.300 ჰექტარი, ნიკოლაევისაში — 34.500 ჰექტარი.

მთელ რესპუბლიკაში დათესილია სულ 961.000 ჰექტარი.

ზაპოროჟიეს საბჭოთა მეურნეობებში

დიდი ძალღონე მოახმარეს ზაპოროჟიეს ოლქის მოწინავე საბჭოთა მეურნეობების მუშათა კოლექტივებმა ჰიტლერელი ოკუპანტების მიერ დანგრეულ მეურნეობათა აღდგენას და სავსებით მომზადებული შეხვდნენ გაზაფხულის თესვას. სარგებლობენ რა ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, საბჭოთა მეურნეობის მუშაკები შეუდგნენ ნაადრევი კულტურების ფარცხვას, კულტივაციას და თესვას. მათი მიზანია რაც შეიძლება მეტი დასთესონ. ბევრგან ომის წინადროდან მთელი ფართობება დამუშავდება.

გაჩაღებულია მუშაობა ორეხოვის საბჭოთა მეურნეობაში. გულაი-პოლეს საბჭოთა მეურნეობაში 10 ჰექტარამდე მზესუმზირა დასთესეს. ჩკალოვის სახელობის მეურნეობაში მარტო პირველ დღეებში დასთესეს 100 ჰექტარამდე ქერი.

სხვადასხვა საგაზაფხულო სამუშაოებზე გამოყენებულია საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა 3.000-მდე ძროხა.

ვოროშილოვგრადის აღდგენის გეგმა

არქიტექტორთა ბრიგადა გაცხარებით მუშაობს ვოროშილოვგრადის რეკონსტრუქციის გეგმაზე. პირველ რიგში აღდგენილი და აშენებული იქნება სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მრავალსართულიანი სახლები. განზრახულია ახალი კინო-თეატრის აგება.

ჩვენი კიევი დღეს

გაზაფხულდა და კიევის ქუჩებში მაისმა თავისი ძალა გამოიჩინა. დნეპრიდან მონაბერ ქარს მოაქვს უკრაინის ტრამალთა, დნეპრს იქითა მხარის თვალუწვდენ სივრცეთა სურნელება დ სიგრილე.

კიევი—აღორძინების გზაზე შემდგარი უკრაინის დედაქალაქი —შრომობს, აშენებს, სწავლობს, მღერის...

ქალაქის მოსახლეობა დღითი დღე მატულობს. კიეველები ბრუნდებიან სამშობლო ქალაქში. ბრუნდებიან აღმოსავლეთში გაბიზნესულნი. ბრუნდებიან ისინი, ვინც გერმანელებმა უკანდახევისას გარეკეს. მღელვარებით აგზნებულ მათს თვალებს, მათს მხიარულს სახეებს რომ უყურებთ, რწმუნდებით, რომ კიევში დაბრუნების დღე ყველაზე ბედნიერი დღეა მათს ცხოვრებაში.

როცა ახლა უკრაინის დედაქალაქის ხალხით სავსე ქუჩებში მიდიხარ, გესმის გაცოცხლებული ქალაქის მხიარული ხმაური, ქარხნების და დნეპრის გემების საყვირთა ხმა, როცა ხედავ ათასობით კიეველს, რომელნიც ერთსულოვნად სწმენდენ კრეშჩატიკს ნანგრევებისაგან და აგურს აწყობენ ხვალინდელი მშენებლობისათვის, განსაკუთრებით მკაფიოდ აღსდგება მეხსიერებაში განთავისუფლებული კიევის პირველი დღეები.

1943 წლის ნოემბერია. ქალაქი ხანძრების კვამლშია გახვეული. ყოველ შენობას, ქალაქის ყოველ კუთხეს აჩნია ფაშისტთა ურჯულკობისა და ძარცვა-გლეჯის დაღი. იშვიათად თუ შეხვდები მცხოვრებთ. ადამიანთა გამომეტყველებაში აღბეჭდილია „ბაბი იარის“ საშინელებათა სიმწარე. „ბაბი იარში“ მარხია ბევრი უდანაშაულო კიეველი, რომლებიც დახვრიტეს, ჩამოახრჩვეს, მოსწამლეს, აწამეს გესტაპოს ჯურღმულებში.

6 ნოემბერს კიევი ბრძოლებში გამოვტაცეთ გერმანელ მხეცს. მას აქეთ სრული ნახევარი წელიწადი გავიდა.

დღეს კიევი ხახლსავუნე ქალაქია. აქ ჩვენი ადამიანების მჩქეფარე ენერგია ხასწაულებს ახდენს. რამდენიმე კვირის განმავლობაში მწყობრში ჩადგა ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცა“, სტალინის სახელობის გემთმშენებელი ქარხანა, ქარხანა „ბოლშევიკის“ ცალკეული საამქროები, მსუბუქი მრეწველობის მრავალი საწარმო. აღდგენილია ელექტროსადგური, ტრამვაი, წყალსადენი.

რა თქმა უნდა, კიევს ჯერჯერობით ბევრი რამ აკლია. მაგრამ კიეველებმა იციან, რომ ნახევარი წლის წინათ არ იყო არაფერი, არც პური, არც წყალი, არც სინათლე,—დღეს უკვე ბევრი რამ არის, ხვალ კი ყველაფერი იქნება. კიევისათვის ფიქრობს, კიევისათვის ზრუნავს მთელი საბჭოთა ქვეყანა, ზრუნავს ჩვენი დიდი სტალინი.

კიევი ხდება წარმმართველი ცენტრი გიგანტური მუშაობისა, რომელიც სწარმოებს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ დანგრეული უკრაინის სახალხო მეურნეობის აღსადგენად. აქ — დედაქალაქში—უკრაინის მთავრობის მეთაური ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ეთათბირება მეპარტლე მერგოლურებს, მეცხოველეებს, აგრონომებს, ეთათბირება იმაზე, თუ რა გზით აიყვანონ უფრო სწრაფად ომამდელ დონეზე უკრაინის სოფლის მეურნეობა.

ამხ. ხრუშჩოვი დიდ ყურადღებას უთმობს თვით კიევსაც. განთავისუფლების შემდეგ პირველ დღეებშიც და ახლაც კიეველები ხშირად ხედავენ ნიკიტა სერგის-ძეს, რომელიც ხან ერთ ქუჩაზე გამოჩნდება, ხან მეორეზე, გამოჩნდება იქ, სადაც დახახულია შენობების აღდგენა. მას ხედავენ კრეშჩატიკის გასაწმენდად გამართულ კვირაობაზე, საწარმოებში, სკოლებში...

კიევი ცოცხლდება აგრეთვე, როგორც უკრაინული ნაციონალური კულტურის ცენტრი. ჰიტლერელმა ვანდალებმა კიევში მოსპეს 4 მილიონი წიგნი, მათ შორის ბევრი უნიკალური ბიბლიოგრაფიული იშვიათობა დაიკარგა. ცეცხლმა შთანთქა საბჭოთა კავშირის უდიდესი ბიბლიოთეკა საკავშირო კ. პ. (ბ) სიელობისა, დაიწვა კიევის უძველესი უნივერსიტეტი, დაიწვა უნივერსიტეტის უმდიდრესი ბიბლიოთეკა და სამეცნიერო კოლექციები, მოსპობილია საბავშვო თეატრი, წითელი არმიის თეატრი, კონსერვატორია, გაძარცულია მუზეუმები.

მაგრამ კიევში უკვე დაბრუნდა უკრაინის მეცნიერებათა აკადემია და მუშაობა განაახლა აკადემიის ყველა ინსტიტუტმა. მეცადინეობა განახლდა უნივერსიტეტში (დროებით სხვა შენობაში) და ბევრ უმაღლეს სასწავლებელში. ევაკუაციიდან ბრუნდებიან კიევის თეატრები, გამოდის გაზეთები, კინოთეატრები სავსეა მაყურებლებით. აღსდგება და მალე მუშაობას შეუდგება კიევის კინოსტუდია.

კიევი სიხარულით შეეგება კულტურისა და მეცნიერების საყვარელ მოღვაწეებს, რომელთა სახელებსაც სიამაყით წარმოსთქვამს მთელი უკრაინა, მთელი საბჭოთა კავშირი. აკადემიკოსებმა ბოგომოლეცმა და პატონმა სამამულო ომის პერიოდში ბევრი რამ მისცეს სამშობლოს და წითელ არმიას, მათ მიენიჭათ ყველაზე მაღალი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის წოდება. უკრაინის საყვარელი მწერლები და პოეტები ახლა სახელმწიფო მოღვაწეები გახდნენ. მიკოლა ბაჟანი უკრაინის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. ალექსანდრე კორნეიჩუკი უკრაინის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარია, პავლო ტიჩინა — განათლების სახალხო კომისარი.

კიევში — სამშობლოში დაბრუნდა ბევრი სხვა მწერალი და პოეტი, მაგრამ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ სამამულო ომის ფრონტებზე იმყოფება, იქ, სადაც მრავალი ათასი კიეველი იბრძვის მტერზე სრული გამარჯვებისათვის.

კიეველებს უყვართ თავიანთი ქალაქი, ამაყობენ ამ ქალაქით, სურთ იხილონ იგი ძველებურადვე დიადი, ლამაზი, აყვავებული. რაზე ლაპარაკობენ, რაზე კამათობენ, რან ოცნებობენ უკრაინის დედაქალაქის მცხოვრებნი ყველაზე მეტად, — იმაზე, თუ როგორი იქნება კრეშჩატიკი. ამჟამად კონკურსია გამოცხადებული კიევის ცენტრალური ქუჩის — კრეშჩატიკის საუკეთესო პროექტისათვის. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო არქიტექტორები მუშაობენ უკრაინის დედაქალაქის ახალი მშენებლობის გეგმების შედგენაზე.

და, ეჰვი არ არის, ახალი სიდიადით გაბრწყინებული აღიმართება უკრაინის ძველი დედაქალაქი დნეპრის ნაპირის გორაკებზე, როგორც საბჭოთა უკრაინის უძველესი ძლიერებისა და სიდიადის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის სიმბოლო.

კიევში გაზაფხულია, ახალი, საბჭოთა ცხოვრების აღორძინების გაზაფხული.

ს. ჟურახოვიჩი.

დაწერილია „კომუნისტისათვის“.

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი ს. ა. კოვპაკი
გადაღებულია გაზ. „რადიანსკა უკრაინას“ პარტიზანი ფოტო კორესპონდენტის ამხ. ი. დავიდზონის მიერ.

ასე დაიწყეს კოლმეურნეობის აღდგენა

თოვლი უკვე დადნა და შემოდგომის ნათესები ველ-მინდვრებს აფერადებენ. ბიბინებს ჯეჯილი.

აი დავტოვეთ ძველი ალვისხეები გზის გასწვრივ და შევედით სოფელ ველიკა დივიციაში. სახლები გადარჩენილან. ხრანს, ვერ მოუსწრიათ გერმანელებს მისი გადაბუგვა.

შეეჩერდით სოფელში ყველაზე უფრო დიდ სახლთან, რომელშიაც ამჟამად „პირველი მაისის“ სახელობის კოლმეურნეობის გამგეობაა მოთავსებული.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ახალგაზრდა ქალი. ეს იყო ზოია ეგენის-ასული ანდრეევა — „პირველი მაისის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

დიდი უბედურება გადახდა მას ჰიტლერელი ოკუპანტების თარეშის თვეებში. პატარა ბავშვი ჰყავდა. ზამთრის სიცივე, ყინვა, ქარი. სარდაფებში იმალებოდა და წითელი არმიის მოსვლას უცდიდა.

მოესწრო კიდეც.

პირველი დღიდანვე — მოგვითხრობს ზოია ანდრეევა, — იმის ფიქრში ვართ, თუ როგორ აღვადგინოთ ჩვენი კოლმეურნეობა...

— თავდაპირველად მსხვილფეხა რქიანი საქონლის აღდგენას შევუდექით. კონტრაქტაციის წესით 110 ხბო მოვაროვეთ. შემდეგ გავიგეთ, რომ გერმანელებს ვერ მოესწროთ ჩვენი ძროხების შორს გარეკვა, და ჩვენც მახლობელი სოფლებიდან მოვიკეთ ისინი. მეც წავედი, 13 ძროხა დავაბრუნე სოფელში. შემდეგ კი 8 ძროხა ვიპოვნეთ. კოლმეურნეობაში ფერმა გაშენდა.

გვაქვს მეფრინველეობისა და მეღორეობის ფერმებიც. ახლა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეგროვებას მივყავთ ხელი. ზოგი გატეხილი აღმოჩნდა, ზოგი დაეანგებული. ვიმართეთ მოხუცებს, სამკედლო გავმართეთ. იქ ახლა მოხუცი გრიცკო მუშაობს. ურმებიც არ გვქონდა რიგიანი, ამჟამად კი უკვე 28 მზა ურემი გვაქვს. 78 ურმიც, ბორბლები მხოლოდ რკინით შემოსაკეთებელია. გვეყოფა ჩვენცა და მეზობელ კოლმეურნეობებსაც.

კოლმეურნეობაში ქალის ხელით კეთდება ყველაფერი, — ფერმებში, სოფლის საბჭოში, კოოპერატივში, ბრიგადირებად — სულ ქალები მუშაობენ.

— და იბრძოლონ ჩვენმა ქმრებმა, ძმებმა და მამებმა, ამბობდნენ კოლმეურნე ქალები. დაე გაანადგურონ წყეული მტერი, რომ ფეხზე ვერ წამოდგეს. ჩვენ კი აქ შევეცდებით, რომ ქმრებს ხელცარიელები არ დავხვდეთ.

უკრაინელი კოლმეურნე ქალები ბჟობენ თესვის შესახებ, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ, ემზადებიან წელს უხვი სამზიდრო მოსავლის მისაღებად. კოლმეურნეობა მილიონერი უნდა გახდეს, როგორც ომამდე იყო. კოლმეურნეობის საუკეთესო ადამიანები წავლენ კიევსა და მოსკოვში და მთელ საბჭოთა ხალხს უჩვენებენ თავიანთი მუშაობის მდიდარ ნაყოფს.

(გაზ. „რადიანსკა უკრაინა“ № 69).



უკრაინის დედაქალაქის — კიევის მთავარი ქუჩა — კრეშჩატიკი იქ გერმანელ დამპყრობთა შემოტრამდე. ფოტო გ. უგრინოვიჩისა. გადაღებულია 1941 წ. მაისში.

ასეთ მდგომარეობაშია დახვდათ კიევის გამთავისუფლებლებს დედაქალაქის ეს ულამაზესი ქუჩა, ჰიტლერელთა ურდოების აქედან განდევნის დღეს. ფოტო გ. უგრინოვიჩისა.

ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲛᲐᲙᲔᲔᲕᲙᲐᲨᲘ

მაკეევკაში დაბრუნდა და მუშაობას შეუდგა უკრაინის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიული თეატრი. თეატრის რეპერტუარი უკრაინელი დრამატურგ-კლასიკოსების საუკეთესო პიესებისაგან შესდგება.

ᲐᲑᲐᲜᲝᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

კიევის ოლქის რუჟიშჩევის რაიონში დაიწყო საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობა. უკვე მზად არის აბანოები სოფელ სტაიკიში, ხანჩიში, ზირკაჩიში და სხვ. ახლო მომავალში თვითეულ კოლმეურნეობას თავისი აბანო ეჭნება.

ᲐᲠᲢᲔᲛᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲚᲘ

უკრაინის მარილის ყველაზე დიდ რაიონში — არტემოვსკში ფართოდ გაიშალა აღდგენითი სამუშაოები. ზოგიერთი მაღარო უკვე მუშაობს და მაღალი ხარისხის სუფრის მარილს იძლევა. უკვე აამუშავეს ლიბკნეხტის სახელობისა და ვოლოდარსკის სახელობის მაღაროები. ერთი თვის განმავლობაში ამუშავდება კიდევ ორი ახალი მაღარო.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲡᲙᲐ ᲑᲣᲙᲝᲕᲘᲜᲐ“

განთავისუფლებულ ჩერნოვიცში, ბუკოვინის მშვენიერ ქალაქში, გამოვიდა საოლქო გაზეთი „რადიანსკა ბუკოვინა“ („საბჭოთა ბუკოვინა“) — საკავშირო კ. პ. (ბ) ჩერნოვიცის საოლქო და საქალაქო კომიტეტის და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო, გაზეთს მოჰყავს ფაქტები ბუკოვინის მოსახლეობის ტანჯვისა და დაცირებისა პირსისხლიანი ფაშისტების თარეშის პერიოდში.

გაზეთი ბეჭდავს მრავალ საინტერესო ცნობას ბუკოვინის მიწა-წყალზე განახლებული საბჭოთა ცხოვრების შესახებ.

ᲓᲘᲓᲖᲔᲠᲐᲒᲣᲠᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

უკრაინის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო გამომცემლობა სოფლის მეურნეობის მაღალი მოსავლის ოსტატების დასახმარებლად შეუდგა პოპულარული ბროშურების სერიის გამოცემას. ბროშურებში მოცემულია აგრონომიული რჩევა-დარიგება.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

Ს. Ა. ᲙᲝᲕᲞᲐᲙᲘ

ᲝᲠᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ

1943 წლის ზაფხულში სახალხო შურისმგებლების — საბჭოთა პარტიზანების დიდმა ჯგუფმა, რომელშიც საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელოვანი შვილები შედიოდნენ, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-მაიორ ს. ა. კოვპაკის მეთაურობით რეიდი მოაწყეს ჰიტლერელთა ღრმა ზურგში. ამ რეიდს პარტიზანებმა სტალინური რეიდი უწოდეს. პარტიზანებმა დაიწყეს ლაშქრობა კარპატებისაკენ, გადალახეს ოკუპანტების მიერ დაკავებული 13 ოლქი, მიაღწიეს დროგობიჩის ნავთის რაიონს, აეფეთქეს და მწყობრიდან გამოიყვანეს ჰიტლერელთა ურდოებისათვის საწვავის მომწოდებელი ამ რაიონის ნავთის სარეწები, ქარხნები და ოზოკერიტის მაღაროები, გაძლიერეს მრავალი ათასი ოკუპანტი, გაანადგურეს მტრის დიდძალი ტექნიკა.

ამ ლაშქრობის შესახებ უკრაინულ გაზეთებში გამოქვეყნდა გენერალ-მაიორ ს. კოვპაკის ნარკვევების სერია, აი პარტიზანთა ამ გმირული ლაშქრობის ზოგი ეპიზოდი.

ლაშქრობა დაწყებულია. ძნელი და სახიფათო გზა არც ერთ პარტიზანს არ აშინებს. მივდიგართ უკრაინის მიწაზე, ვხედავთ სოფლებს, რომლებიც გაუკაცრიელებულია და მხოლოდ აქა-იქ ვხედავთ გერმანელთა მცირე გარნიზონებს. ეს გარნიზონები ჩვენთვის ოლად მოსანელებელი ლუკმაა და პარტიზანები ამით ამით დიდად კმაყოფილნი არიან. მივდიგართ. დღისით ვისვენებთ ტყეებში ან მივარდნილ სოფლებში, ხოლო ღამით გზას განაგრძობთ. კანონად გვაქვს ერთი წესი: ციოროთ შეუპრთხო, ირგვლივი თავდაცვის მუდმივი მზადყოფნით.

წინ, გვერდით, უკან მუდამ მზად გვაქვს ცეცხლოსანი საშუალებები. ერთი სცადოს ბერძნმა ჩვენზე თავდასხმა, და მას დაუყოვნებლივ თავს დაატყდება ჩვენი ქვემეხების, ნაღმსატყორცნების, ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლი. შორს ჩვენს წინ მიდიან ბჭირი, უშიშარი მზვერავები. დაზვერვის საქმე სრულყოფილად გვაქვს მოწყობილი. ყოველწუთს ვიღებ ცნობებს, თუ რა ხდება, რა მდგომარეობაა ჩვენი ლაშქრობის რაიონში, რამდენიმე ათეული კილომეტრის რადიუსით.

„ᲒᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲥᲢᲗᲐᲜ“

ყოველთვის გავდივართ 80-50 კილომეტრ მანძილს. შევდივართ ჰიტლერელ მხეცთა ღრმა ბუნაგში. მომქანცველი გზა არის, მაგრამ პარტიზანები ყოჩაღად გამოიყურებიან. რა მშვენიერი ადამიანები აღუზრდია ჩვენს სამშობლოს, საუცხო, უშიშარი, ჯანსაღი ვაჟკაცები, შესანიშნავი სამეგობრო ადამიანები. ვინ იცის რომელ მათგანს დავკარგავთ. ყველანი კი კარგები არიან, არც ერთი არ მეშეტება, მაგრამ რას იზამ, სამშობლოს ინტერესი მოითხოვს მსხვერპლს და აი, ჩვენც მზად ვართ...

მივუახლოვდით „გალიციის დისტრიქტს“. ასე მონათლეს ჰიტლერელმა მტაცებლებმა საბჭოთა უკრაინის დასავლეთი ოლქები.

რკინიგზის მნიშვნელოვანი მაგისტრალის ერთ-ერთ უბანზე შემოგვესმა მატარებლის მოძრაობის ხმაური.

— აქეთ მოდის სამი საბარგო მატარებელი, შეგვატყობინეს მზვერავებმა.

— მაშ შევხვდეთ! გადაწყვიტეთ და შევუდექით საქმეს. გამოჩნდა თუ არა ორთქლმავლის ბოლი, პარტიზანები გაინაბენ. ცოტა ხნის შემდეგ იგრძალა სროლის ხმამ და მატარებელი შეჩერდა, პარტიზანებმა შეაჩერეს ორი დანარჩენი მატარებელიც. ჩვენი ტყვეებით დაცხრილულ ვაგონებში, რომლებიც სავსე იყო „ტოტალური“ ფრანცეებით, სისხლის ტბები დადგა.

მაგისტრალის ეს უბანი საკმაოდ საფუძვლიანად მოვშალეთ, ფრონტზე გაგზავნილი ფრიცები გზიდანვე გავამწესეთ საიქიოსკენ და ამით საგრძნობლად მოვუშალეთ ნერვები „გალიციის დისტრიქტის“ გენერალ-გუბერნატორს ვეხტერს და სს-პოლიციფიუერერს ბრიგადის გენერალ კაცმანს.

მათ გაიგეს, რომ ჩვენი რაზმი მათ სამფლობელოში იმყოფებოდა და ეჰვი არ იყო ისინი შეეცდებოდნენ ჩვენს განადგურებას.

ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲒᲐ ᲛᲔᲓᲘᲜᲐᲠᲔᲗ ᲚᲝᲛᲜᲘᲪᲐᲡᲗᲐᲜ

უტყუარი ცნობები მივიღეთ, რომ ჰიტლერელები სასტიკ შეხვედრას გვიმზადებდნენ მდინარე ლომნიცასთან. აღიდებული მდინარის გადალახვა მართლაც ძნელი ამოცანა იყო, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ სუფოროვიანებურად მოვქცეულიყვით. სუფოროვი ამბობდა: „გაკვირვებ — მაშასადამე ოჯოობებ“.

მივედით მდინარესთან და მტერს პირისპირ დავუდექით. ჩვენი რაზმი გაპიმული იყო მდინარის გასწვრივ 25 კილომეტრის სიგრძეზე. საჭირო იყო ინიციატივის გამოჩენა უყოყმანოდ, დაუყოვნებლივ, საჭირო იყო მოულოდნელი დარტყმით გაგვეკვირვებინა მოწინააღმდეგე. გერმანელებს ბევრი რამ ჰქონდათ საფიქრებელი: მათ არ იცოდნენ, თუ სად, რა ადგილას შევეცდებოდით მდინარის გადალახვას და ნერვიულობა დაიწყეს. ეს ჩვენთვის კარგის მომასწავებელი იყო. დღისით მტერს ვაგრძნობინეთ, რომ ჩვენ აქ ვართ და შეტევისათვის ვემზადებით. გერმანელებმაც აქ ამ 25 კილომეტრზე მოუყარეს ჯარს თავი.

ამ დროს ჩვენ უკვე მოშორებით გამოვნახეთ ფონი სამ ადგილას და შევიმუშავეთ მეორე ნაპირზე გადასვლის გეგმა. შემდეგი ღამით ერთ უბანზე მოულოდნელად ამოშავდნენ ჩვენი ქვეშეხები, ყველა სხვა ცეცხლითი საშუალებები. გერმანელებმაც ცეცხლით გვიპასუხეს. დილამდე განაგრძობდნენ ისინი სროლას, ხოლო დილით.., ჩვენი ქვეგანაყოფები, რომლებიც უკვე გადავიდნენ მეორე ნაპირას, ზურგიდან მიადგნენ მტერს. აუწერელმა პანიკამ მოიცვა მტრის რიგები. „დამსჯელმა“ დივიზიებმა მიატოვეს ყველაფერი, რაც ებადათ და მოჰკურცხლეს.

ბატონი ვეხტერი კვლავ ხახამშრალი და მოტყუებული დარჩა.

აქედან უკვე პირდაპირი გზა იწყებოდა კარპატებისაკენ, დროგობიჩის ნავთის სარეწებისკენ. იწყებოდა მთის გზა, იღლავსე ათასგვარი სიძნელეებით და მოულოდნელი სიურპრიზებით.

ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲝᲣᲨᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ

ყველამ ვიცოდით, რომ ჩვენთვის ამ გზის გადასავლელად ყოველი მხრიდან მოეშურებოდნენ პოლიციელთა პოლკები და ბატალიონები. გერმანელებმა ვერასად შესძლეს ჩვენი მოხელეობა და ახლა ცდილობდნენ გავენადგურებინეთ, არ დაეშვით დროგობიჩის მიდამოებში. ჰიტლერელებმა აიძულეს უნგრეთის მთავრობა ჩვენს წინააღმდეგ გამოეყვანა სამოთ-მსროლელი და მოტორიზებული ნაწილები.

19 ივლისს დილით მცირე ხნით დასვენების შემდეგ დავიძარით კარპატის სიმაღლეებისაკენ. სოფელ რასულნესთან ჩვენს წინააღმდეგ ჩაყენებული იყო სს-პოლკი, რომელიც ჩვენს მოახლოებას იქ ორი დღის შემდეგ ვარაუდობდა. ამიტომ გერმანელები უდარდელად გრძნობდნენ თავს, მაგრამ ანგარიშში მოსტყუებულნენ. სოფელთან ჩვენ ორი დღით ადრე შევედით. გერმანელთა გუშაგები ჩვენმა მზვერავებმა ისე მოხსნეს, რომ კრონტიც არ დაუძრავთ. მე ვუბრძანე ასეულს მეთაურ ბაქრაძეს:

— შეიჭერ სოფელში და შეეცადე შეჰკმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს დიდი ჯარი გყავდეს. ვიმორეკე ჰიტლერელები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ამისთვის გახმარ კიდევ ორ ასეულს.

— გასაგებია, ყველაფერი შესრულებული იქნება! — მიპასუხა ბაქრაძემ.

ბატალიონის მეთაურს მატიუშენკოს დაეკალა გერმანელებისათვის ფლანგებიდან შემოვლა და მათი სრული გარემოცვის შთაბეჭდილების შექმნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ნაცადმა მებრძოლებმა, — ქართველმა ვაჟკაცმა ბაქრაძემ და უკრაინელმა მატიუშენკომ შიშის ზარი დასცეს მტრის გარნიზონს. ძმინარე გერმანელები გააღვიძა სროლის ხმაურმა, ისინი გამოდიოდნენ სახლებიდან ქუჩაში თეთრეულის ამარა, უიარაღონი და გარბოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ სათ. ბაქრაძე მათ უკანდან მიეკეკებოდა, ხოლო მატიუშენკოს მებრძოლები ტყვიით უმასპინძლდებოდნენ თავზარდაცემულ ფრიცებს. 60 ცეცხლმოკიდებული გერმანული ავტომანქანა, ანათებდა ბრძოლის ველს.

ბაქრაძისა და მატიუშენკოს მებრძოლებმა გაანადგურეს მთელი გარნიზონი და ჩვენ ხელთ ვიგდეთ დიდძალი დაკვა.

ᲓᲠᲝᲒᲝᲑᲘᲩᲘ — ᲜᲐᲕᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ჩვენ უკვე კარპატის კალთებზე ვართ გვიკვირს, რომ ამოდენა გზა გამოვიარეთ, ამდენი ბრძოლები გადავიხადეთ და უმნიშვნელო მსხვერპლი გავიღეთ, აგერ, გამოჩნდა დროგობიჩი — ნავთის ქალაქი. თვეზე მეტია ჩვენ მისკენ მივისწრაფვით, მრავალი დიდი და პატარა ბრძოლა გადავიხადეთ და აპა, უკვე მიზანთან ვართ.

გვეწინააღმდეგა ამ ქარხნების, ამ სახალხო დოვლათის განადგურება. ეს ხომ ყველაფერი ჩვენი ხალხისაა, მაგრამ მეტი გამოსავალი არაა, ომის ლოგიკა ბრძანებს — ჩვენ ეს ბრძანება უნდა შევასრულოთ. ეს ახლა საჭიროა მტრის დასასუსტებლად.

ირგვლივ მთის წყაროები მოჩუხჩუხებენ, პარტიზანებს კი წყალი სწყურიათ. მაგრამ იმისათვის, რომ რამდენიმე ნაბიჯით ჩამოშორდნენ მწყობრს, ნებართვა არის საჭირო. დისციპლინის სიმტკიცე აქ განსაკუთრებით საჭიროა.

დაგვათენდა მთის შემართზე. თავს გადაგვიარა მტრის თვითმფრინავმა, ე. წ. მკრეტმტრირებელმა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ 40-45 წუთის შემდეგ მოფრინდებოდნენ ფრიცები და დაგვბომბავდნენ. ასეც მოხდა. „მესერშმიტებმა“ მრავალი ბომბი დაგვაყარეს, ირგვლივ მთაზე კორიანტელი დაყენეს, მაგრამ ჩვენ მაინც განვაგრძობდით გზას. არავითარი პანიკა, არავითარი დაბნეულობა არ ყოფილა ჩვენს რიგებში. გადაარეს თვითმფრინავებმა, რათა უკანვე მობრუნებულიყვნენ, მაგრამ მათ ახლა უკვე სხვანაირად დავხვდით. ახლა მთა დიდი ზიანის მოყენება შეეძლოთ. ჩვენმა ცეცხლმა აიძულა მტრის თვითმფრინავები მოგვშორებოდნენ, მაგრამ 3 ჩვენი მებრძოლი მაინც ამსხვერპლეს.

მეორე წუთსვე პარტიზანმა მეზენიტეებმა ზეციზედ დააყირავეს და მიწას დაანარცხეს ჰიტლერელთა 3 თვითმფრინავი და რაკი მათი ბედის გაზიარების ხალისი დანარჩენებს დაეკარგათ,—მოგვშორდნენ. ამხანაგები დავკრძალეთ იმ ადგილას, საიდანაც დროგობიჩი კარგად სჩანს.

კიდევ მივალთ მათ საფლავთან. მოვალენ იქ დროგობიჩელებიც, რათა ძეგლი აუგონ მათი თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლის მონაწილეებს.

ᲝᲗᲮᲘᲡ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲘ

ექვს დღეს გაგრძელდა სასტიკი ბრძოლები ჰიტლერელებთან, რომლებიც ჩვენს განადგურებას ლამობდნენ და ამ ბრძოლებით მიიკვლევდნენ ჩვენი პარტიზანები გზას ნავთის სარეწებისაკენ.

ჩვენი მეწინავე ჯგუფები უკვე შეეჭრნენ ბიტკეკ-იაბლუნოვის სიმაღლეზე და ცეცხლი წაუკიდეს ნავთის ჯაბუტალებს. გათენებამდე ცეცხლის ალმა ვაეხვია კიდევ 9 ჯაბურიალი და რამდენიმე სადიზელი ელექტროსადგური. ჩვენის მხრივ დაეკარგეთ მხოლოდ ერთი, შესანიშნავი მებრძოლი პარტიზანი ამხ. მარუსია ივენკო.

1 აგვისტოს ახალი ბრძოლა გაჩაღდა შეეკოს მთაზე. ჩვენი მსროლელები, მეტყვიამფრქვევები, ჯავშანმტვრეველები იდგნენ ბალახით დაფარულ სანგრებში, რომლებიც ჩვენს წინაპრებს ამოუთხრიათ ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის დროს. პარტიზანები დაქანცულნი იყვნენ განუწყვეტელი ბრძოლებითა და შეუსვენებელი ლაშქრობით, მაგრამ საბრძოლო სულისკვეთება მაინც მტკიცე იყო.

გამოჩნდა ჰიტლერელთა ავიაცია. ისინი გაანუწყვეტლივ ბომბავდნენ ჩვენს განლაგებას, ხოლო მათი დივიზიები ყოველ მხრიდან მობობღავდნენ ჩვენი პოზიციებისაკენ. მაგრამ აი, წალენ თვითმფრინავები, წამოდგებიან ჰიტლერელები და წამოვლენ ჩვენსკენ თუ არა, იმ წუთსავე აკაკანდრიან ჩვენი ტყვიამფრქვევები და ჰიტლერელები იძულებული ყრიან მიწაზე ყაერთხნენ. კიდევ და კიდევ ასე, მთელ

გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა მირიან იოსების-ძე აბრამაშვილმა 70-ჯერ მოახდინა გაფრენა მტრის ობიექტების საიერიშოდ და 16 საჰაერო შებმა მოაწყო მოწინააღმდეგესთან, რომლებშიც ჩამოაგდო მტრის 3 თვითმფრინავი. გვარდიელი აბრამაშვილი დაჯილდოებულია წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“.

ომამდე იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ფოტო ი. იარინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲔᲥᲕᲡᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 2 მაისი. დამთავრდა შექსპირის მეექვსე სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი კონფერენცია, თეატრალური ფესტივალი, რომელიც აქ ცხრა დღეს გრძელდებოდა. კონფერენციის მუშაობამ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი საბჭოთა შექსპირმცოდნენი, მოსკოვის, სომხეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

პირველ სხდომებზე მოსმენილ იქნა მოხსენებანი: „შექსპირი საბჭოთა კავშირში“ — პროფესორ მ. მოროზოვისა და „აღორძინების ეპოქის ადამიანის სახე“—ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორ ა. ჯივილეგოვისა. ხუთი მოხსენება მიეძღვნა საბჭოთა სომხეთის შექსპირმცოდნეობას. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. კალანტარმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. არუთიუნიანმა დაწერილებით გააშუქეს თემა— „შექსპირი სომხურ სცენაზე“. გენიალურ სომეულ მსახიობ პეტროს ადამიანზე, რომელმაც შექსპირის როლების შესრულებით სომხური თეატრი მსოფლიო თეატრალური კულტურის მეწერვალეებს აზიარა, კონფერენციას მოუთხრო თეატრმცოდნემ მელქისეთიანმა. ლიტერატურათმცოდნემ ტერზიბაშიანმა ილაპარაკა დიდი დრამატურგის ნაწარმოებთა სომხური თარგმანების შესახებ.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო იყო მოხსენება პროფესორ ა. ადამიანისა, რომელმაც ილაპარაკა მუსიკაში, კერძოდ ბეთჰოვენისა და ჩაიკოვსკის სიმფონიურ ნაწარმოებებში, შექსპირის პოეტიკის გამოყენების პრინციპებზე.

ფესტივალის დროს ნაჩვენები სპექტაკლების შესახებ უკანასკნელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა კრიტიკოსმა თუზოვსკიმ; გამოვიდნენ ხელოვნების ოსტატები. კონფერენციამ შექსპირის მემკვიდრეობის შესასწავლად განაზოგადა ლიტერატურული, თეატრალური მოღვაწეების მდიდარი მასალები, სომხურ სცენაზე შექსპირის სახეების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება. (საკდესი).

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐ

ᲥᲣᲚᲣᲚᲘᲗᲘ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ). დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. სოფელ ქობულეთის პარტიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში პირველ დღეს 112 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფეს. კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ მოჰკრიფა 42 კილოგრამი, მეოთხე ბრიგადამ — 48 კილოგრამი.

ᲐᲚ. ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲑᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ქურდოვანიძემ საანგარიშო მოხსენება იმით დაიწყო, თუ როგორ გაიზარდა სამამულო ომის დღეებში ახალგაზრდობის მისწრაფება ტექნიკურ მეცნიერებათა დაუფლებისადმი და რა დახმარებას უწევს კომკავშირის ორგანიზაცია კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, მის პროფესორლექტორებს ახალგაზრდა კადრების აღზრდაში. გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა ფრიადოსან სტუდენტთა, კერძოდ ფრიადოსან კომკავშირელთა რიცხვი. ოთხი კომკავშირელი ფრიადოსანი—ბ. სალუქვაძე, კორინთელი, აზნაურაშვილი და ზაიმოვიჩი სტალინური სტიპენდიანტები არიან, 921 კომკავშირელიდან 780-ს არცერთ საგანში არა აქვს ჩამორჩენა. კომკავშირულ ორგანიზაციაში აღზრდილი ბევრი პატრიოტი ამჟამად იარაღით ხელში იცავს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებას, ღირსებასა და დამოუკიდებლობას. ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები, საბჭოთა კავშირის გმირები ციცინაშვილი და გოცირიძე ინსტიტუტის კომკავშირულ ორგანიზაციაში აღიზარდნენ.

კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია ყოველდღიურად ზრუნავს მაღალი აკადემიური წარმატებისა და შეგნებული დისციპლინის დანერგვისათვის. ინსტიტუტში 67 კომკავშირელი აგიტატორი მუშაობს. სამთო ფაკულტეტის პირველი კურსის ფრიადოსანი სტუდენტი დ. ქროსანიძე ამავე ფაკულტეტის 352-ე ჯგუფის აგიტატორია. იანვრიდან დღემდე მას 54 საუბარი აქვს ჩატარებული, ამას წინათ მისი თაოსნობით მოეწყო კინოფილმ „ცისარტყელას“ გარჩევა. ეს ჯგუფი თავისი აკადემიური წარმატებით მოწინავეა ინსტიტუტში.

მართალია, ზოგიერთი ნაკლი აღინიშნა, მაგრამ ამხ. ქურდოვანიძის ვრცელ საანგარიშო მოხსენებაში თვითკრიტიკა სუსტი იყო, ინსტიტუტის კომკავშირულ ორგანიზაციას კი თავის მუშაობაში საკმაოდ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს.

სტუდენტების საგრძნობ ნაწილს, მათ შორის 141 კომკავშირელ სტუდენტს, აქვს აკადემიური ჩამორჩენა. არის ლექციების გაცდენისა და დაგვიანებით გამოცხადების მთელი რიგი ფაქტები. სათანადო ყურადღება არ ექცევა ორგანიზაციის ზრდას. ზოგიერთ ფაკულტეტზე მოუგვარებელია კომკავშირელთა აღრიცხვა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა სამართლიანად გააკრიტიკეს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა. სამშენებლო ფაკულტეტის კომკავშირული ბიუროს მდივანმა ამხ. გიორგელიძემ აღნიშნა—ნაკლოვანებები უფრო მცირე იქნებოდა, კომკავშირის სტალინის რაიკომი საკმაო დახმარებას რომ უწევდეს ინსტიტუტის კომკავშირულ ორგანიზაციასო.

— ინსტიტუტის კომკავშირულ ორგანიზაციას აღებული აქვს შეფობა ჰოსპიტალზე. პირველ ხანებში ეს მუშაობა კარგად მიმდინარეობდა, ამჟამად კი ამ მხრივ ძალიან ცოტა რამ კეთდება,—აღნიშნა ამხ. კამპანიონმა.

თვითკრიტიკული იყო ენერგეტიკული ფაკულტეტის კომკავშირული ბიუროს მდივნის ამხ. გეგეშიძის გამოსვლა. მან თქვა: მოუწესრიგებელი გვქონდა ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მეურნეობა, იშვიათად ვიწვევდით კრებებს, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით სტუდენტთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. პარტიული ორგანიზაციის დახმარებით ამჟამად ეს ნაკლოვანებანი სწორდება.

სტალინური სტიპენდიანტი ამხ. ბ. სალუქვაძე შეეხო მეცნიერების დაუფლებაში კომკავშირელთა ავანგარდულ როლს. კომკავშირელები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს მაგალითს სწავლასა და დისციპლინაში.

ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა ამხ. სახოკიამ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მაღალი აკადემიური წარმატების მოპოვებას და დისციპლინის განმტკიცებას.

კამათში მონაწილეობა მიიღო 12 ამხანაგმა. მათ ბევრი საინტერესო და საქმიანი წინადადება წამოაყენეს. კომკავშირის კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ უნდა გაითვალისწინოს ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც საანგარიშო პერიოდში ჰქონდა კომკავშირულ ორგანიზაციას, და იბრძოლოს საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

Ვ. ᲒᲣᲨᲩᲘᲠᲘᲫᲔ

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის ფაბრიკა „ოსვობოჟდენი ტრუდის“ მქსოველი ა. მ. სიდიაკინა ერთ-ერთი პირველი გადავდა ხამი დაზვის მომსახურებაზე და დღითი-დღე გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს. იმ პროდუქციიდან, რომელიც მან ომის განმავლობაში გამოუშვა ეგვმის ზევით, შეკერილია 7 ათასი კომპლექტი ჩაცმულობა წითელი არმიის მებრძოლებისათვის.

სურათზე: ა. მ. სიდიაკინა.

ფოტო ზ. ნეველროვასი (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ). სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ თავდაცვა-ავიაქიმის ქუთაისის საქალაქო საბჭოს მიაკუთვნა პირველი ხდგილი და გადასცა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

აღ დღეებში ჩატარდა თავდაცვა-ავიაქიმის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციების აქტივის კრება, რომელზეც მოხსენებით საქართველოში მასობრივი თავდაცვითი მუშაობის შესახებ გამოვიდა საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. სურგულაძე.

შემდეგ მან კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა გადასცა თავდაცვა-ავიაქიმის ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ა. წურწუმიას. დროშის მიღებასთან დაკავშირებით კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ა. წურწუმიამ.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გრ. ნარსია, რომელმაც აქტივის უურადღება გაამახვილა მშრომელთა შორის მასობრივი თავდაცვითი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებასა და გაუმჯობესებაზე.

მასობრივი თავდაცვითი მუშაობის კარგად დაყენებისათვის აქტივის კრებაზე სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს სიგელები გადაეცათ ამხ. ჩხაიძეს, პ. კოლაძეს, ა. კობალაძეს, ვ. ჭყონიას, ნ. რობაქიძეს, თ. კოლაძეს და ე. კოსტავას, ხოლო მკერდის ნიშანი „აქტიური თავდაცვითი მუშაობისათვის“ — მოწონავე თავდაცვა-ავიაქიმელებს შ. გიორგობიანს, ლ. დოლაბერიძეს, ზ. შარიქაძეს, ქ. შენგელიას, ლ. ჭელიძეს, გ. ტოკვს, გ. ჩარეკოვს, ე. შენგელიას და შ. ქარცივაძეს.

თავდაცვა-ავიაქიმის აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუჯგობესებისათვის.

Ნ. ᲙᲝᲕᲖᲘᲠᲘᲫᲔ

„ᲛᲖᲘᲡ ᲓᲐᲑᲜᲔᲚᲔᲑᲐ“

ᲛᲣᲡᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

8, 9, 10, 11, 12 მაისს თბილისის მუსკომედიის თეატრი მაყურებელს უჩვენებს თავის ახალ დადგმას — ოპერეტას „მზის დაბნელება“, რომლის ლიბრეტო დასწერა ბ. გამრეკელმა ანტონოვის კომედიის მიხედვით.

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბ. გამრეკელმა, მხატვრობა ეკუთვნის დ. მირიანაშვილს, ცეკვები დადგა დ. მაჭავარიანმა, დირიჟორობს ვ. ბარნაბელი. მთავარ როლებს ასრულებენ: თ. მთვარაძე (მარეხი), დ. ესებუა (ოფიცერი), ს. ოსეფაშვილი (გეურქ), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ციმაკურიძე (ნინო), ნ. თულაშვილი (ნუცა), ნ. მოსეშვილი (სამონიკა), ა. ტურიაშვილი (ვანუა), ი. ბაკაკური (მიკირტუმა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ჩეჩელაშვილი (პისტროსილი), ვ. გერსამია (ნიკო), ვ. იანვარაშვილი (ჭიკო), გ. ჭუმბაძე (სიკო), ნ. ანანიაშვილი (ფიკო), ა. მეწოღიშვილი, შ. ტეტუნაშვილი და უ. სუხიშვილი (კინტოები), გ. პოღოსოვი და ე. ჩოხელი (ბალეტი).

ᲓᲔᲙᲐᲓᲔᲜᲢᲘ

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 მაისი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან გუშინ მოკავშირეების მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ პლოეშტისა და ტურნუ-სევერინის (რუმინეთი) დამხარისხებელ სადგურებს.

სასტიკად დაბომბეს ავრეთვე მტრის ჯარები პოდგორიცეში (იუგოსლავია).

წუხელ საშუალო ბომბდამშენები თავს დაესხნენ რუმინეთის დამხარისხებელ სადგურ კომპინას.

ამავე დროს გრძელდებოდა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტების დაბომბვა იტალიაში. 5 მაისს მოკავშირეთა ავიაციამ დაანგრია დიდი კაშხალი-მდინარე პესკარაზე (ცენტრალურ იტალიაში). [illegible] წყალი დაიძრა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 მაისი. (საკდესი). დღეს ინგლისის ბომბდამშენებმა კვლავ მოახდინეს თავდასხმები პლოეშტის დამხარისხებელ სადგურზე და კომპინის ნავთსაცავებზე. ფიქრობენ, რომ პლოეშტზე გუშინდელი თავდასხმის შედეგად, გარდა დამხარისხებელი სადგურისა, დაზარალდნენ ნავთსაწმენდი ქარხნებიც. მოწინააღმდეგემ ინტენსიური წინააღმდეგობა გასწია ქალაქის თავზე. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის ბევრი ავიაგამანადგურებელი.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲨᲘ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 6 მაისი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან იუწყებიან, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები განაგრძობენ შეტევითს ოპერაციებს ჩერნოგორიაში, ჰერცეგოვინაში, სლავონიასა და სანჯაკში.

დასავლეთ ბოსნიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები გარშემოერტყნენ მრკონიჩ-გრადს და იერიში მიაქვთ ქალაქზე რამდენიმე მიმართულებით. მტერი ძლიერ წინააღმდეგობას ეწევა.

ექვსი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ მარცხით დამთავრდა მტრის მიერ დაწყებული შეტევა ეუმმერაკში. ჰიტლერელებსა და უსტაშებს საგრძნობი ზარალი მოუვიდათ და იძულებული გახდნენ უკან დახიათ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲯᲐᲜᲐ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲨᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 6 მაისი (საკდესი). ბულგარეთიდან მიღებული ცნობებით, 28 აპრილიდან დაიწყო გერმანელთა გემებისა და წყალქვეშა ნავების ბაზების გადატანა რუმინეთის ნავსადგურებიდან ვარნაში და ბულგარეთის სხვა ნავსადგურებში.

სოფიაში ამ უკანასკნელ დღეებში აღნიშნული გერმანელების გაცხოველებული საქმიანობა. ბაიანში და სხვა ახლომახლო სოფლებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს გერმანელთა ბარაკების მშენებლობა. სოფიაში გერმანელები შეუდგენენ დაბომბვით დაზიანებული შენობების გაწმენდასა და რემონტს.

ᲡᲢᲔᲤᲘᲜᲘᲣᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ სტეტინიუსმა, რომელიც ლონდონიდან დაბრუნდა, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იმ საკითხთა უმეტესობა, რომლებიც წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს აწუხებდა, სწრაფად გადაწყდა ლონდონში ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებთან მისი მოლაპარაკების დროს, რამაც ორივე მხარის სრული კმაყოფილება გამოიწვია. ინგლისელებმა თანამშრომლობისადმი მაქსიმალური მისწრაფება გამოიჩინეს. სტეტინიუსმა უაღრესად ოპტიმისტურად ისწერა თავისი „ფრიად დამაკმაყოფილებელი მოლაპარაკება ჩერჩილთან“. სტეტინიუსმა განაცხადა: მე იმის თქმა როდი მსურს, რომ არ ყოფილა არავითარი სიძნელე, არავითარი დაბრკოლება და რომ გადაწყდა ყველა საკითხი. მაგრამ თუ მოლაპარაკება ასი პროცენტით წარმატებული არ იყო, მგ. მაინც სავსებით დაკმაყოფილებული დავბრუნდი.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲛᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲡᲗᲥᲕᲐ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲐᲜᲐᲑᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲖᲔ ᲙᲐᲘᲠᲝᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 6 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბრაზილიის ნაციონალურმა ბანკმა უარაყო კაიროში მყოფი იუგოსლავიის მთავრობის მოთხოვნა იუგოსლავიის ფონდებიდან ვისთვის 9,5 მილიონი დოლარის მიცემის შესახებ. სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს: ეს პირველი შემთხვევაა, რომ აკმაყოფილებენ იუგოსლავიის განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტის მოთხოვნას, რომ უცხოთის ბანკებმა შეუწყვეტონ იუგოსლავიის ნაციონალური ბანკის ანაბართა მიცემა კაიროში მყოფს იუგოსლავიის მთავრობას.

ᲑᲔᲠᲙᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲗᲘ ᲕᲘᲜᲔᲗᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 5 მაისი (საკდესი). დემოკრატია ლიდერმა ამერიკის შეერთებული შტატების სენატში ბერკლიმ სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი და მოუწოდა ფინელებს „გარკვევით აგრძნობინონ თავიანთ მთავრობას, რომ ფინეთისათვის გადამწყვეტი მომენტი დგება“, როცა იგი უნდა გაეოვიდეს ომიდან. ბერკლიმ განაცხადა, რომ დროებითი ზავის საბჭოთა პირობების უარყოფა ეწინააღმდეგება ფინელი ხალხის ძირითად ინტერესებს.

„ᲜᲘᲣ ᲓᲐᲒᲘ“ ᲤᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 4 მაისი (საკდესი). გაზეთ „ნიუ დაგის“ ჰელსინკელი კორესპონდენტი სწერს: „ზოგიერთი დიდი თანამდებობის პირი გამდიდრდა იმ უდიდესი სახსრებით, რომლებიც სკანდინაველებმა და ამერიკელებმა ფინეთის ხალხს გაუგზავნეს 1940 წელს. მაგრამ მუშებსა და მათ ცოლებს ძონძები აცვიათ. დღევანდელ ფინეთში მხოლოდ ის არ შიმშილობს, ვინც მომარაგების სამინისტროში, სამაჟოში ან პოლიციაში მუშაობს. ქრთამი, საეჭვო გარიგება და მოსყიდვა იმდენად გავრცელდა, რომ ნორმალური ცხოვრების წესად ითვლება. მაღალი თანამდებობის მოხელეები ჯამდიდრდნენ ისევე, როგორც ნაცისტთა ზედაფენები გერმანიაში.

ფინეთში გაჭირვებაში არიან მხოლოდ მუშები და წვრილი გლეხები. ფინელი ქალები იძულებული არიან ძნელი და მძიმე სამუშაო შეასრულონ ფაბრიკებსა და სოფლის მეურნეობაში. ცუდი კვება, ანტისანიტარული პირობები და მძიმე მუშაობა უკვე დაეტყო ფინეთის მუშათა კლასის ჯანმრთელობას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ტუბერკულოზით დაავადებას. დიდად გავრცელდა ვენერიული სნენი. სულ უფრო მატულობს ნერვული დაავადება. თვითმკვლელობა საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

ᲛᲔ-13 ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზიკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის მომავალი XIII საჭადრაკო პირველობის ჩატარების გეგმა და მის მონაწილეთა შემადგენლობა.

ჭადრაკში 1944 წლის ჩემპიონის წოდებას ერთმანეთს ეცილება 18 კაცი: პერსონალურად მოწვეულნი ჩვენი ქვეყნის 1941 წლის აბსოლუტური ჩემპიონი სსრ კავშირის გროსმაისტერი ბოტვინიკი, სსრ კავშირის გროსმაისტერები კოტოვი, ლილიენტალი, სმისლოვი და ფლორი, მოსკოვის, ბაქოს და ომსკის ნახევარფინალებში გამარჯვებულნი სპორტის დამსახურებული ოსტატები მაკოგონოვი და რომანოვსკი, ოსტატები ალატორცევი, ბოლესლავსკი, ბრონშტეინი, ვერესოვი, ლისიცინი, მიკენასი, რავინსკი, რაგოზინი, სოკოლსკი, ხავინი და ტოლუში.

პირველობა გათამაშდება მოსკოვში. პირველი ტური შესდგება 21 მაისს. შეჯიბრების მთავარ მსაჯად დამტკიცებულია ოსტატი ზუბარევი. (საკდესი).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

გუშინ, 6 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ლენინგრადის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ჩაატარეს პირველი ამხანაგური შეხვედრა თბილისში. მათ წინააღმდეგ თამაშობდა ქალაქის ნაკრები გუნდი.

მატჩი თანაბარი წარმატებით დაიწყო. პირველი ტაიმის ბოლოს ლენინგრადელებმა იერიშები გააძლიერეს და მე-42 წუთზე საზღვარმა ბურთი გაიტანა ნაკრები გუნდის კარებში.

მეორე ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა ბურთის გატანის რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა ტაიმის ბოლომდე. შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით, ანგარიშით — 1 : 0.

დღეს ლენინგრადის „დინამოს“ წინააღმდეგ ითამაშებს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. შეხვედრა დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს.

მატჩი დაიწყება 5 საათზე.

Ა. ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. შესდგა კალათბურთელთა ორი მატჩი მოსკოვის „დინამოს“ ოსტატთა და ქუთაისის ნაკრებ გუნდებს შორის. ორივე შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 31 : 13 და 35 : 25. (საკდესი).

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ

8 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. 41) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

7 მაისს — სახელმწიფო ოპერა—დილით — „ქეთო და კოტე“, საღამოთი — რიგოლეტო“. **რუსთაველის სახელობის**—„სირანო დე-ბერჟერაკ“. **მარჯანიშვილის** — დილით — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. **გრიბოედოვის** — დილით და საღამოთი — „ერთი ღამის შეცდომები“.

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

7 მაისს — რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი — „ზაღდადელი ქურდი“, **დამკვრელი** — „ალექსანდრე ნეველი“, **კომკავშირელი** — „ჯორჯი დინკი-ჯაზიდან“, **ლოქსემბურგის სახელობის** — „მასკარადი“, **საარტაკი** — „ზღვის ქორი“

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Ბ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-საველტერინარო ინსტიტუტის დირექცია აცხადებს, რომ ა. წ. 15 ივნისიდან ინსტიტუტში იწყება სახელმწიფო გამოცდის სესია. ის პირნი, რომელთაც მოსმენილი აქვთ ინსტიტუტის სრული კურსი, წინა სესიებში არ ჩაუბარებიათ სახელმწიფო გამოცდა და სურთ სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება, უნდა გამოცხადდნენ ინსტიტუტის კანცელარიაში ა. წ. 10 ივნისამდე სათანადო რეგისტრაციისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტ ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი ნ. ᲪᲝᲛᲐᲘᲐ

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲗᲔᲑᲡ
საამწყობო და საბეჭდავ საამქროებში.
მისამართი: ყორესის ქ. № 5, მე-3 სართული, კადრების განყოფილება.
ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ

თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ზოგადი ბიოლოგიის და პარაზიტოლოგიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან ასისტენტ ნინო ტაბიძის ქალიშვილ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔ ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ გარდაცვალებას. 600

ნინო და ნიკოლოზ გოდერძიშვილები იუწყებიან ძმის **ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** გარდაცვალებას. გამოსვენება 7/V, 2 ს. მელიქიშვილის, 11. 606

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘᲐ თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის სამკუთხედი ბეჭედი. ჩ. გ. 543

ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘᲐ თბილისის რაიაღმასკომის საბჭოს მრეწველობის კომბინატის ლიმონათის ქარხნის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ. 604

დედა პიპილო, მეუღლე თამარ გორდელაძე შვილით გივიკოთი იუწყებიან **მანასე კონსტანტინეს-ძე ᲜᲘᲜᲝᲫᲘᲡ** გარდაცვალებას. გამოსვენება დუშეთიდან 7/V, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 603

თბილისის მე-11 საექიმო უბნის პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ სერგო ჯიქიძის მეუღლის **სოფიო ვასილის-ასულ ᲯᲘᲥᲘᲫᲘᲡ** გარდაცვალებას. გამოსვენება 7/V, 2 ს. ანტონოვის, 4. 601

ᲨᲣᲠᲘᲡᲒᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

„ქვეითი პოლკები და ბატალიონები, უსაზღვრო სიძულვილით სავსენი, მზადაა თავგანწირულებით რომ მიდიან იერიშზე, უნაგირის ტახტაზე წაღუნული ცხენოსნები, ლამით რომ ნთქავენ მანძილებსა და კილომეტრებს, რათა მოასწრონ და დილაბნელზევე დაეცნენ მტრის ბანაკს, რათა გაფანტონ, ასჩეხონ და ტყვედ წაიყვანონ მტრის ურდოები, სახელოვანი ტანკისტები და არტილერისტები, მფრინავებ და საპაორები,—ყველა ისინი, თავისი ხელით ვინც ჰქმნის ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას.

მე მინდა ვილაპარაკო ამ ხალხის შესახებ, დასავლეთის ფრონტის ადამი